საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეური სიფცვაა, ფცეილებით და ჭიბებით ბეტ-თის გაფანა ყველა ეკალრისიბაზე ესაძაგლესია.

სამშაბათი, 16 ოქტომბერი. 2018 წ. №206 (8607) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ჩვენი სამშობლოს ბედით შეწუხებულნო ქართველნო, როდემდე უნდა ვანგრევინოთ ქვეყანა მავნებელ ნაციონალებსა და მავნებელსავე თვითმარქვია „მთავარ“ ბუკსა და ნაღარას – „ცრუსთავი-2“-ს?! როდემდე უნდა ვაწამლინოთ ჩვენი საზოგადოება თავიანთი მოჭორილ-მოჩმახული, ნაირ-ნაირი ამაზრზენი ჩანაწერებით?! ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ

გაბოროტებული, ავადმყოფი ნაციონალები თავიანთი მოკლე ჭკუით და გრძელი, შხამიანი ენით

სახელმწიფო გადატრიალებისთვის ჯახირობენ!!!

ბევრი ეძებეს თუ ცოტა ეძებს, გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა ევროპელმა თანამონაციონალემ (რომლებიც ამ ბოლო ხანს ჯიუტად ირქმევენ „აღმატებულ“ ფსევდონიმს – „გაერთიანებულ ოპოზიციას“) მაინც დაიჭირეს ფასკუნჯი – მიაგნეს „ქართული ოცნების“ ოდინდელი რევოლუციური „ცოცხის“ (2012 წელს, სააკისტების გარეკვის ჟამს, საპატიმროებში ტუსაღების წამებისა და... გაუპატიურების მთავარი იარაღისა და სიმბოლოს) ჯუფთს – ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით დაპატიმრებული ვინმე მირზა სუბელიანის საუბრის საიდუმლო ვიდეოჩანაწერი მესტიის მაჟორიტარ ვიქტორ ჯაფარიძესა და ლტოლვილთა სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსან დავით ცუხაშვილთან.

კვირას „რუსთავი-2“-მა ქვეყნიერებას ამ დოკუმენტბომბის არსებობა ზარ-ზეიმით ამცნო. ახლა იმავე „რუსთავი-2“-ითა და პრეზიდენტობის კანდიდატების გრიგოლ ვაშაძისა და დავით ბაქრაძის ისტერიული პრესკონფერენციებით მათი ტირაჟირება მიმდინარეობს.

28 ოქტომბრამდე დარჩენილ დროში ეს ახალი „ცოცხი“ მთელ საქართველოს გადაგვის“ და ჩვენს გულუბრყვილო ელექტორატს საბოლოოდ გაუსიებს გულს. მე შენ გეტყვი, აგიტატორ-პროპაგანდისტები შემოაკლდებიან!

საიდუმლო ვიდეოჩანაწერის რამდენიმე დასკვნა:

ა) „რადარებიდან გამქრალი საქართველო“ (გრიგოლ ვაშაძის გამოთქმა) დაყოფილია გასამხედროებულ ოლქებად, სადაც 50-50-კაციანი შეიარაღებული რაზმები დაძრწიან შავი ხალხის მეთაურობით და ჩაგრულ ნაციონალებს 28 ოქტომბრის წინა დღეებში ფეხებში ებლანდებიან;

ბ) მირზა სუბელიანი თავისი ნებით ჩამჯდარა ციხეში, ხელისუფლებასთან გარიგებით, მაგრამ ახლა უკმაყოფილოა მმართველი გუნდისა, რომელიც ჯეროვნად ვერ აფასებს მის ერთგულებას, არადა, იმდენი რამ იცის, რომ შეუძლია ხელისუფლებას ქვეყანა თავზე ჩამოამხოს. ამდენად, მოსალოდნელია სუბელიანის ახალ-ახალი „აღიარებანი“;

გ) საქართველოში გამეფებულია საშინელი, დამანგრეველი კორუფცია, ადამიანთა გატაცება, სარდაფებში ჩაყრა და უხამსი შეურაცხყოფა;

დ) ახლებურად ჩნდება ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია, იკვეთება ხელისუფლების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ავბედითი როლი, დამნაშავეებზე ხელის დაფარება, საქმის სხვა, ყალბი მიმართულებით წაყვანა;

ე) სახელდება ახალი ბორტმოქმედნი: სოზარ სუბარი, გოგა ხაინდრავა, გიორგი გახარია და სხვ.

ვ) ქვეყანა დანგრეულია, დაქცეულია, კრიმინალების სათარეშოდ არის ქცეული. თუ 28 ოქტომბერს ვაშაძეს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბაქრაძეს არ ავირჩევთ, სამშობლო საბოლოოდ გამოგვეცლება ხელიდან;

რაც მთავარია, „რუსთავი-2“-ის გენდირექტორმა ნიკა გვარამიამ გააკეთა მთავარი აღმოჩენა: **„ჩვენ მძღნერში ვცხოვრობთ“!** თვითონ რომ იქიდან გვეყროლება, ეკრანის სუნიც მეტყველებს.

საერთოდ კი ვიცოდით, ვხედავდით, ვისმენდით, რომ გვარამია სკორეში ცხოვრობდა, რომ სკორე იყო მთელი მისი და მისი თანამესკორის ეკა კვესიტაძის ცხოვრების არსი და წესი, მაგრამ რაკიღა ახლა თავად აღიარა გულმდუღარედ და დაბეჯითებით, რა უფლება გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ მის კატეგორიულ მტკიცებაში.

თანაც ეს სიტყვა ცხრაჯერ გაიმეორა!

ისე რომ, მთელი მისი იმედებიც სენსაციური ვიდეოჩანაწერის ირგვლივ, რომ ის საზოგადოების რევოლუციური კონსოლიდაციის მუხტად და „ქართული ოცნების“ გამპანღურებელ ძალად იქცევა, სწორედაც რომ სკორეზეა დაფუძნებული.

ბატონი ნიკა კი ცხოვრობს იქ, რასაც ამაყად აცხადებს, მაგრამ ხალხი არ ცხოვრობს იქ და კარგად ხედავს, ვინ რითი სუნთქავს და რისი ეიმედება. კარგად ხედავს ამ არჩევნების წინ რას ებღაუჭებიან და ეპოტინებიან ნაძირალა ნაცები და ევრონაცები, ხედავს და სათანადო დასკვნასაც გააკეთებს. ბოლოს და ბოლოს, 28 ოქტომბერი სულაც არ არის ცხრა მთას იქით!

როგორ მოიპოვა „რუსთავი-2“-მა აუდიოჩანაწერები?

„ჩემთვის პირადად საინტერესო არის ამ საკითხის სამართლებრივი მხარე. პირველ რიგში, ვიდრე შინაარსთან დაკავშირებით გადავალ და მე ასეთი მიდგომა მაქვს ყველა ჩანაწერთან დაკავშირებით, რომლის მოპოვება, შენახვა და გავრცელება მიმაჩნია, კანონით უნდა გადამოწმდეს, ეს არის კანონის მოთხოვნა. სისხლის სამართლის კოდექსის დანაშაულს განეკუთვნება, სხვათა შორის სისხლის სამართლის დანაშაულს, უნდა გადამოწმდეს ავთენტურობა.

გამოძიება რომ დაიწყო, ეს არის საჭირო და დროული, ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია, რა ინფორმაციას დადებს გამოძიება. არის თუ არა ეს კანონიერი და ავთენტური. ერთი — არის თუ არა ეს კანონიერად მოპოვებული, თუმცა მეეჭვება, რომ ეს იყოს კანონიერად მოპოვებული თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტის წევრი, რომელიც ადასტურებს ამ შეხვედრას, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ არ შეიძლება ფარული ჩაწერა მიმდინარეობდეს. ამიტომ კანონიერების თვალსაზრისით ძალიან სერიოზული კითხვები მაქვს. ასევე სერიოზული კითხვები მაქვს ამ ჩანაწერის მოპოვებასთან დაკავშირებით და მისი შინაარსის ავთენტურობა რომ დადასტურდეს, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

ცნობისთვის, „რ-2“-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერი გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გაკეთებული, რომელშიც სავარაუდოდ, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი, მირზა სუბელიანი საუბრობს. ჩანაწერის მიხედვით, სუბელიანთან საკანში იმყოფებიან „ქართული ოცნების“ დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე და ლტოლვილთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, გენერალური ინსპექციის ყოფილი თანამშრომელი დათო ცუხიშვილი.

ჯაფარიძე ადასტურებს, რომ ციხეში სუბელიანის თხოვნით იმყოფებოდა

„ქართული ოცნების“ წევრი ვიქტორ ჯაფარიძე ადასტურებს, რომ ციხეში მირზა სუბელიანთან იმყოფებოდა.

„რამდენჯერმე ვიყავი მანდ შესული. პატიმრის დაჟინებული მოთხოვნით და ოჯახის თხოვნით, მასთან შევედი ციხეში. მე ვარ პარლამენტის წევრი, ვარ სვანი, ვიცნობთ ერთმანეთს და ამიტომ მთხოვეს რომ შევსულიყავი. მოითხოვა და რა უფლება მქონდა რომ არ შევსულიყავი. გიორგი გახარიას და სხვა მინისტრებს, როგორც პარლამენტის წევრი ვხვდები. მინისტრებს მირზას დანაბარები გადავეცი, რამე შელავათს ითხოვდა, რომ ბევრი დამსახურება მაქვს და გაუბედურებული ვარო. არასერიოზულად მივიჩნიე მირზას ნასაუბრები, მასზე რეაგირება არ გამიკეთბია, არასერიოზულად მივიღე. ეგ არის საინტერესო, როგორ მოხდა რომ პარლამენტის წევრი შევედი ციხეში და ეს ჩაიწერეს“, — ამბობს ჯაფარიძე.

ცნობისთვის, „რ-2“-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერი გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გაკეთებული, რომელშიც სავარაუდოდ, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი მირზა სუბელიანი საუბრობს. ჩანაწერის მიხედვით, სუბელიანთან საკანში იმყოფებიან „ქართული ოცნების“ დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე და ლტოლვილთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, გენერალური ინსპექციის ყოფილი თანამშრომელი დათო ცუხიშვილი.

მირზა სუბელიანის სიმამრმა ბორის კაკუბავამ ჟურნალისტებს აგინა

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, იცოდა თუ არა მან იმ დეტალების შესახებ, რაზეც მირზა სუბელიანი ჩანაწერებში საუბრობდა.

მირზა სუბელიანის სიმამრი ჟურნალისტების მიმართ აგრესიას იჩენდა და მათ ყოველი შეკითხვის დასმის შემდეგ აგინებდა.

ივანე მაჭავარიანი: მსოფლიო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი იქნება

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური შეხვედრების ფარგლებში, ფინანსთა მინისტრი, ივანე მაჭავარიანი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს, სირილ მიულერს შეხვდა.

ფინანსთა მინისტრმა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების მხარდაჭერისა და იმ დახმარებისთვის, რომელსაც მსოფლიო ბანკი ქვეყანაში სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებით ახორციელებს.

საუბარი შეეხო მსოფლიო ბანკის ახალ, გლობალურ ინიციატივას „ადამიანური კაპიტალის განვითარების პროექტის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ინტენსიური რეფორმების განხორციელებას განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში.

ივანე მაჭავარიანმა იმედი გამოთქვა, რომ განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში დაგეგმილი ინტენსიური რეფორმების განხორციელების პროცესში, მსოფლიო ბანკი საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი იქნება. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ, მაღალი შეფასება მიეცა მიმდინარე წლის მაისში, მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა დელეგაციის პირველ ვიზიტს საქართველოში.

შეხვედრაზე, ასევე, საუბარი შეეხო მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობას, სტრუქტურულ რეფორმებს, ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებსა და ტექნიკურ დახმარებებს.

* * *

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა და აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ვენჩაი ჟანგმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური შეხვედრების ფარგლებში გამართული შეხვედრისას.

შეხვედრისას მიმოიხილეს ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობის, ასევე, მუნიციპალური და საქალაქო ინფრასტრუქტურის მიმართულებით საქართველოსა და ADB-ის თანამშრომლობის საკითხები.

ხაზი გაესვა, აზიის განვითარების ბანკის მხრიდან გაწეულ მნიშვნელოვან დახმარებას საპენსიო რეფორმის, კერძო და საჯარო პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბებისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით.

ყურადღება გამახვილდა 2019-2021 წლების თანამშრომლობის სფეროებზე, რომელთა შორის პრიორიტეტულად დასახელდა განათლების სექტორი, სადაც აზიის განვითარების ბანკი მზადაა, აქტიურად ჩაერთოს მომავალი რეფორმების განხორციელების პროცესში. როგორც, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მთავრობა აფასებს იმ თანადგომას, რომელსაც აზიის განვითარების ბანკი უწევს საქართველოს სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში.

ჩემგან არავის მოუსმენია სიძულვილის არც ერთი სიტყვა

„სიძულვილის ენა ჩემთვის უცხოა, ამ კუთხით მე ვარ ნამდვილი ქართველი, რადგან ქართული კულტურა ზრდილობით იწყება. ეს ყველას, პირველ რიგში, პრეზიდენტის ვალდებულებაა, რომ ახალგაზრდებს მაგალითი მივცეთ, როგორ უნდა განვეწყოთ ერთმანეთისადმი, თუ გვსურს ქვეყნის გაძლიერება და გაერთიანება. ამის გარეშე ვერ შევძლებთ ქვეყნის სწორ გზაზე დაყენებას. გამთლიანებაზე ლაპარაკი ზედმეტია თუ ვერ შევთანხმდებით, რომ ერთმანეთი არ ვლანძღოთ, სულიერად არ ვკლათ. მე ვიქნები ყველა მოქალაქის და არა რომელიმე ჯგუფის პრეზიდენტი. სხვა თანამედროვე და ცივილური ფორმა ქვეყნის მართვისა არ არსებობს, თუ მის სათავეში არ არის ადამიანი, რომელიც ამის მაგალითის მომცემი შეიძლება იყოს“,** — დუშეთში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„მე მხარს ვუჭერ ზურაბიშვილს“

„პოლიტიკა ჩემგან ძალიან შორს არის, შორს იყო ყოველთვის და არის ახლაც, მაგრამ, პირველ რიგში, მე ვარ ქართველი, ისევე როგორც თქვენ. არაფერი იმაზე ძვირფასი, მთავარი ფასეულობა არ გამაჩნია, ვიდრე ეს არის ჩემი ქართველობა და მე ვარ ამით ამაყი. სწორედ ქართველობის, საქართველოსადმი სიყვარულმა და გამოცდილებამ, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, გადამაწყვეტინა სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა. დღევანდელი მოცემულობით ის საუკეთესო კანდიდატია. მე მხარს ვუჭერ სალომე ზურაბიშვილს“,** — განაცხადა რეჟისორმა თემურ ბაბლუანმა.

◎ პენიტენციური სამსახური

უცხოეთიდან მიღებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით ივანე მერაბიშვილის მძიმე მეტალებით ინტოქსიკაცია გამოირიცხა

„სპეციალური პენიტენციური სამსახური მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ავრცელებს ინფორმაციას მსჯავრდებულ ივანე მერაბიშვილისთვის ჩატარებული სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ივანე მერაბიშვილს უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის გამოკვლევები საქალაქო სექტორის რამდენიმე კლინიკაში ჩაუტარდა, რის შესახებაც საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიეწოდა.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 2-4 ოქტომბერს, მსჯავრდებული პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილ იქნა კლინიკაში „მედიქლაბ ჯორჯია“, სადაც მას დამატებით ჩაუტარდა სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტების კონსულტაცია და მათ მიერ რეკომენდებული გამოკვლევები. ამასთანავე, ვინაიდან დაცვის მხარე მუდმივად აპელირებს იმაზე, რომ მსჯავრდებულ მერაბიშვილის დიაგნოზი - ჰორნერის სინდრომი შესაძლოა ინტოქსიკაციის შედეგი იყოს, „მედიქლაბ ჯორჯიაში“ ივანე მერაბიშვილს ტოქსიკოლოგების კონსულტაციაც გაეწია. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის მწვავე ეგზოგენური ინტოქსიკაციის კლინიკური სურათი არ გამოვლინდა, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მსჯავრდებულს მძიმე მეტალების შემცველობაზე სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარებოდა. ანალიზი ჩატარდა 6 მძიმე მეტალზე: რკინა, სპილენძი, ტყვია, კადმიუმი, მანგანუმი და თუთია, ასევე კალციუმსა და მაგნიუმზე. მასალა გამოსაკვლევად გადაიგზავნა გერმანიაში „ლაბორატორია მრჩეველი — ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპულ ჯგუფი“-ს მიერ. მიღებული პასუხის შედეგად ირკვევა, რომ ყველა ზემოთ ხსენებული მეტალის და მაკროელემენტის კონცენტრაცია სისხლში არის ნორმის ფარგლებში. ამის შემდეგ, მიღებული პასუხების საფუძველზე 12 ოქტომბერს გაიმართა ტოქსიკოლოგების კონსილიუმი, რომლის დასკვნითაც ინტოქსიკაცია გამოირიცხა. ამასთანავე, კონსილიუმმა დაადგინა, რომ ტოქსიკოლოგიური მიმართულებით ივანე მერაბიშვილი რაიმე სახის დამატებით გამოკვლევებს არ საჭიროებს.

კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევების შედეგები გამორიცხავს მსჯავრდებულის ადვოკატების მხრიდან ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულაციის საფუძველს, რადგან ივანე მერაბიშვილს ყველა სათანადო გამოკვლევა ჩაუტარდა, რაზეც მედპერსონალის მიერ რეკომენდაცია გაიცა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲩᲘᲜᲝᲗ „ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲐ“!

ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲝᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲐ“! – ეს იყო თემა შეკრებისა, რომელიც გაიმართა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში. შეკრების ორგანიზატორი იყო **იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება** (თავმჯდომარე, დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე, თანათავმჯდომარე, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი). შეკრებას ესწრებოდნენ სხვადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები; კერძოდ, მწერალთა კავშირის, მხატვართა კავშირის, კომპოზიტორთა კავშირის, რუსთაველის საზოგადოების, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგთა საზოგადოების; არნ. ჩაქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის საელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მესხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სასულიერო აკადემიის, პრესისა და ტელევიზიების წარმომადგენლები.



შეკრებაზე აღინიშნა, რომ 2018 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩაატარა სასკოლო **სახელმძღვანელოების გრიფირება.** სამინისტროს გადაწყვეტილებით სასკოლო სახელმძღვანელოთა ნუსხაში **არ მოხვდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“,** რამაც საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. 142 წლის მანძილზე ეროვნული სკოლა პირველად დარჩა „დედაენის“ გარეშე. მართალია, ბოლო ათწლეულებში იკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ უსამართლო, არაკვალიფიციური, არაპროფესიონალური ჩარევა განიცადა, მაგრამ წლევანდელმა შემთხვევამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... ეს ფაქტი მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ 2014 წელს „დედაენას“ (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს) **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის** სტატუსი მიენიჭა; დიდად საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ „დედაენა“ არის იუნესკოს მიერ **საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად** აღიარებული ნომინაციის –**ქართული ანბანის** სამი სახეობის ცოცხალი კულტურის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი (2016 წ.)... საერთაშორისო კონვენციები და ჩვენი კანონმდებლობა სახელმწიფოს ავალდებულებს, შეუნარჩუნოს „დედაენას“ სიცოცხლისუნარიანობა და დაიცვას იგი, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი!

შეკრება გახსნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ნანა მაჭავარიანმა; სიტყვებით გამოვიდნენ დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, მწერლები მაყვალა გონაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, თემურ ჩალაბაშვილი, დავით შემოქმედელი, კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი, პროფესორები ვალერი სუხიტაშვილი, რამაზ მეფარიშვილი და სხვა. შეკრების მონაწილეთა სულისკვეთება ერთსულოვანი იყო – **იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ უნდა დაბრუნდეს ქართულ სკოლაში!** შეკრებაზე შემუშავებული იქნა მიმართვა ხელისუფლებისადმი, რომელიც აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა გააცნო დარბაზს; მიმართვა ერთხმად მიიღეს (თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მიმართვის გამკაცრებას ითხოვდნენ)... გამოითქვა იმედი, რომ **ხელისუფლება შეისმენს საზოგადოების ხმას და ჩვენი მომავალი თაობა წიგნიერების სამყაროში იაკობის „დედაენით“ გაიკვალავს გზას!...**

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲡ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მინისტრს ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ **იაკობ გოგებაშვილის „დედაენასთან“** დაკავშირებით შექმნილი უაღრესად შემაშფოთებელი ვითარების გამო.

მართლაც სავალალო ვითარებასთან გვაქვს საქმე: დღეს, როდესაც ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს – როგორც საპატიო სტუმარს – წარმოადგენს იუნესკოს მიერ საკაცობრიო კულტურის უკვდავ ძეგლად აღიარებული „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ კონცეფცია, ამ დროს ამ ნომინაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი – იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ (რომელსაც, წესით, ქართული პავილიონის ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს) ესოდენ უსამართლოდ აღმოჩნდა ჩაწიხლული საკუთარ სამშობლოში!

საკითხი ეხება იმას, რომ მიმდინარე სასწავლო წლისათვის ორგანიზებული კონკურსის შედეგად იაკობ გოგებაშვილის უკვდავ ძეგლს – „დედაენას“ გადაეკეტა გზა ქართული სკოლისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი წინასწარი ნორმა იყო მომზადებული ეროვნული კულტურის ამ ძეგლის დაბრუნებისათვის სკოლაში და არც საკონკურსოდ მომზადებული „დედაენის“ მნიშვნელობის გამაბათილებელი არგუმენტი არსებობს ბუნებაში.

მოგეხსენებათ, **„დედაენას“** – ქართული ანბანის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს – **2013 წელს** კულტურის სამინისტრომ მიანიჭა არამატერიალური **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის** სტატუსი, ხოლო **2014 წელს** საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მას განესაზღვრა **ეროვნული კატეგორია;** ეს ძეგლი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს იუნესკოს მიერ **საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლისა – ქართული ანბანისა** (2016 წ.). ყოველივე ეს სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ამ **ძეგლის სიცოცხლისუნარიანობა და დაიცვას** იგი. სწორედ ამ მიზნით 2017 წელს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების კონკურსის დებულებაში საგანგებოდ აისახა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის – „დედაენის“ – ეროვნულ სკოლაში აღდგენისათვის საჭირო ნორმა, ხოლო 2018 წელს განათლების სამინისტრომ ბ-ნ **მ. ჩხენკელის** მითითებით შექმნა სამუშაო კომისია, რომელსაც დაევალა ახალი პირობების გათვალისწინებით გადაემუშავებინა **ი. გოგებაშვილის „დედაენა“,** რომელსაც პირდაპირი წესით მიენიჭებოდა სამინისტრის გრიფი. კომისიამ, რომლის მუშაობას ზედამხედველობას უწევდა მინისტრის მოადგილე ბ-ნი **თ. მურღულია,** დათქმულ ვადებში დაასრულა სამუშაო და ი. გოგებაშვილის მეთოდისა და პრინციპების დაცვით მოამზადა სასკოლოდ „დედაენა“.

მაგრამ, **გაუგებარი მიზეზების გამო, განათლების სამინისტრომ არ შეასრულა დანაპირები და ეროვნული სკოლა დარჩა „დედაენის“ გარეშე!** ფაქტობრივად, „დედაენა“ შეეწირა გრიფირების სისტემაში არსებულ უკანონობას და ეს ფაქტი გახლავთ ქართველი საზოგადოების სამართლიანი აღშფოთების მიზეზი.

ჩვენ, წარმომადგენლები სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებისა, ჩვენი ქვეყნის პედაგოგიური საზოგადოებისა მთელი კატეგორიულობით ვაყენებთ თქვენ წინაშე საკითხს: **დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს კუთვნილი ადგილი ქართულ სკოლაში უკვდავ ეროვნულ ძეგლს – იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“,** ხოლო ყველა იმ პირისა თუ ჯგუფის საქმე, ვინც საკუთარ საეჭვო ინტერესებს კანონის გვერდის ავლით, ეროვნული ფასეულობების ხარჯზე ახორციელებს, სამართლებრივად იქნას გამორკვეული და შეფასებული.

ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ –
„ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ“
ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ:

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ
ᲢᲔᲚ. 595 318 318
ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ: konstantine_318@yahoo.com

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲚ. 599 518 493
ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ: giorgigogolashvili@rambler.ru

◎ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲓᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ „ᲐᲜᲑᲐᲜᲗᲥᲔᲑᲐ“ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ყველა მსურველისათვის ღია იყო და 300 000-ამდე სტუმარს უმასპინძლა. მართალია, ფესტივალისთვის საქართველოს მხრივ ამ ღონისძიებაზე 16 მილიონი ლარი დაიხარჯა, მაგრამ, უნდა ითქვას, ეს ხარჯი უდავოდ ღირდა – ფრანკფურტში სამოცდაათი ქართველი მწერლის ნაწარმოებია წარმოდგენილი, რომლებსაც გაეცნენ და ღირსეულად დააფასეს ევროპელმა წიგნის მოყვარულებმა.

ცნობილი მწერლების გარდა, კვირის ბოლოს აქ იყვნენ ცნობილი პოლიტიკოსებიც – გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმარ გაბრიელი და ბადენ-ვიურტემბერგის პრემიერ-მინისტრი ვინფრიდ კრეჩმანი, საკუთარი წიგნების პრეზენტაციით. საღამოს ჰარი პოტერის ფანების ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. მას ცნობილმა კარლსენის გამომცემლობამ უმასპინძლა. პარასკევს მემარჯვენე რადიკალური პარტიის ერთ-ერთი წევრის, ჰოეკეს გამოსვლის პარალელურად საპროტესტო აქციაც კი გაიმართა, „პარტიის“ ხელმძღვანელმა მარტინ ზონებორნმა კლაუს შენკის, გრაფი შტაუფენბერგის (ვინც თავის დროზე ჰიტლერზე თავდასხმა სცადა) უნიფორმით გამოვიდა და შეეცადა თავისი დიპლომატი ჰოეკეს მაგიდაზე დაედგა. შტაუფენბერგმა ჰიტლერზე თავდასხმის დროს ბომბი სწორედ დიპლომატში დამალა.

კოსპლეებს წარმოსახვითი გმირების კოსტიუმებში მანგასა და ანიმეს სამყაროდან წელს მეტი სივრცე მიენიჭა, ვიდრე სხვა დროს, 8000 კვადრატული მეტრის ფართობზე მოსეირნე კოსპლეების გვერდით სათამაშო ზონა და სასცენო პროგრამაც იყო. მათი ტრადიცია 1990-იან წლებში იაპონიიდან მანგას გადმოყვა აშშ-სა და ევროპაში.

იმ დროს, სანამ კულტურის ისტორიკოსებსა და მკვლევარებს იან და ალეიდა ასმანებს მშვიდობის პრემიით აჯილდოებდნენ, აშშ-ეროტიული ბესტსელერის ავტორი ანა ტოდი მასზე სიტყვიერი თავდასხმის მერე დაიმალა და ფანებს შიშით აღარ დაენახვა.

საქართველოდან წამსვლელთა მსურველებისთვის ფრანკფურტის ბაზრობის ბილეთის ფასი ქუთაისიდან გერმანიამდე ბილეთის ღირებულების ტოლი იყო.

ჩვენ, როგორც 2018 წლის საპატიო სტუმრებს, წელს ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის შესაძლებლობა მოგვეცა, – ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის წარდგენით გვეჩვენებია, რა ხასიათის არის ქართული ლიტერატურა, რა არის მისი მიზანი, ვინ არიან ჩვენი მწერლები. საქართველოს პავილიონი ქართული ასოებით იყო გაფორმებული და მთავარი თემატიკა – „ჩვენებური ანბანთქება“ იყო, ამ კონტექსტით მით უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში წიგნებს ისე ინტენსიურად არ კითხულობენ, როგორც აღმოსავლეთ ან დასავლეთ ევროპაში.

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲙᲐᲜᲯᲘᲐᲜᲝ,
(„ᲡᲠ“-ᲘᲡ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ)

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ წიგნის ბაზრობა, რომლის საპატიო სტუმარი ქვეყანაც წელს საქართველო იყო, საზეიმოდ დაიხურა. საქართველომ 2019 წლის საპატიო სტუმრის სტატუსი ნორვეგიას გადაულოცა. ტრადიციისამებრ, სპეციალური გრაგნილი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მედეა მეტრეველმა ნორვეგიელ კოლეგას გადასცა.

ღონისძიებაზე ასევე შედგა ნორვეგიის საიმიჯო ვიდეორგოლის პრეზენტაცია. საზეიმო ცერემონიის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს სიურპრიზი მოუწყვეს და ქართული სიმღერით – „სულიკოთი“ დაემშვიდობნენ.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 9 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ფედერიკა მოგერინიმ გახსნეს.

ანუ ქართული პოლიტიკა ხუმრობით და ხუმრობაგაშვებით

„არა, ბატონო, ვერ ააშენებენ რაჟდენას და კაკულიას შვილები სახელმწიფოს“. ასეთი არასანუგეშო დასკვნა გამოგვიტანა ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა ჭკვიანი კვაჭი კვაჭანტირაძის პირით მას შემდეგ, რაც სამიოდე წლის წარუმატებელი ცდების მიუხედავად, რომ როგორმე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეგვექმნა, ისევ რუსეთის შემადგენლობაში ამოვყავით თავი. გავიდა კიდევ სამოცდაათი წელი და რუსეთის საბჭოთა იმპერია ისევ დაინგრა. კვლავ მოგვეცა საშუალება, საკუთარი სახლი აგვეშენებინა და ჩვენი ადგილი დაგვეკავებინა სხვა ერებს შორის. თითქოს ახლა უკვე აღარაფერი გვიშლიდა ხელს ამაში: ერთ-ერთმა პირველთაგანმა სწორედ რუსეთმა გვცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, შემდეგ ჩვენმა ყოფილმა მრავალსაუკუნოვანმა მტრებმა – ირანმა და თურქეთმა და დანარჩენმა მსოფლიომ აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა და დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. საფუძველიც კარგი გვქონდა: საქართველო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ერთმნიშვნელოვნად გამოირჩეოდა როგორც ცხოვრების დონით, ასევე მიღწევებით ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის დარგში, სპორტში თუ მედიცინაში.

ერთი რამ იყო დამაფიქრებელი: ეგრეთწოდებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგების აზროვნებას აშკარად სქემატურობის და პრიმიტიულობის ელფერი დაჰკრავდა. ისინი ქვეყანაში არსებულ პრობლემებს საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნით და კომუნისტური მმართველობით ხსნიდნენ და ფიქრობდნენ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ყველაფერი თავის გზაზე დადგებოდა. მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანა გზაგასაყარზე იდგა, ამ ორი გზიდან ერთი იყო პროდასავლური, ხოლო მეორე – პროაღმოსავლური, ანუ პრორუსული. თუ პირველ გზას გავყვებოდით, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ თუ პროაღმოსავლურ გზას ავირჩევდით, ისევ რუსეთის უღელში გავყოფდით კისერს. მათი იდეოლოგია იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ, რუსებისგან განსხვავებით, ევროპული ცნობიერება გვაქვს და რუსებსაც სწორედ ეს აგიუებთ. ჩვენ ფეოდალური წყობილება გვქონდა რუსეთთან შეერთებამდე, ისევე როგორც საფრანგეთს და იაპონიას, რუსებს კი არასოდეს ფეოდალიზმი არ ჰქონიათ და ამიტომაც ვერ ააშენებს დემოკრატიულ საზოგადოებას. ამიტომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს რუსეთს უნდა ჩამოვცილდეთ, „აი, როგორც დანით რო ჩამოგიჭრია, ისე უნდა ჩამოვეჭრათ“, მოგვიწოდებდა ერთ-ერთი პარლამენტის დეპუტატი. ამ დეპუტატის თქმით რაც რომ საქართველოში ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა ხდებოდა, 90% რუსეთის **კგბ-ს** მიერ იყო ორგანიზებული. რუსეთს რომ ჩამოვეჭრებოდით და პროდასავლურ გზას გავყვებოდით, დამყარდებოდა საქართველოში კაპიტალისტური წყობილება და ვიცხოვრებდით ბედნიერად (აი როგორც კოპენჰაგენში ცხოვრობენ!). საინტერესოა, რატომ ეგონათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, რომ ჩვენ უფრო ევროპული ცნობიერების ხალხი ვართ, ვიდრე რუსები, ან თუნდაც ოსები. ამაზე, ალბათ, ბატონი ავლიპ ზურაბაშვილი გაგვცემდა კვალიფიციურ პასუხს ცოცხალი რომ იყოს, მე კი ამის ახსნა მიჭირს: გეოგრაფიულად სწორედ რუსები და ოსები სახლობენ ევროპის ტერიტორიაზე, ლინგვისტური თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმეს, მათი ენები და არა ქართული ან მეგრული მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ან და რა ბედენაა ამტკიცო, ევროპული ცნობიერების ხალხი ვართო და ერთ-ერთი ყველაზე ღარიბთაგანი იყო სხვა ქვეყნებს შორის.

უნდა ითქვას, რომ ასეთი აზროვნება არა მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ცალკეულ ლიდერებს ახასიათებდათ, არამედ საზოგადოებაშიც ფართოდ იყო ფეხმოკიდებული. როცა ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა პარლამენტის პარალელური მეორე საკანონმდებლო ორგანოს – კონგრესის – არჩევნები ჩაატარეს, მათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და საზოგადოებრივი აზრის მხრივ პრობლემა არ შექმნიათ, პირიქით, ტელევიზორში შეგეძლოთ მოგესმინათ, „ხომ ხედავთ, რა გამორჩეული ხალხი ვართ ქართველები, ჩვენს გარდა კონგრესი კიდევ მხოლოდ სამ ქვეყანას აქვს: ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინდოეთს და ესტონეთსო“. აშშ-ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მართლაც კონგრესი ჰქვია, ისევე როგორც ინდოეთის ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიას. რაც შეეხება ესტონელებს, მათ მართლაც აირჩიეს (მხოლოდ ესტონელი ეროვნების ამომრჩევლებმა) საკანონმდებლო ორგანო კონგრესის სახელწოდებით, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით მაშინვე გაუუქმეს უფლებამოსილება ძველ პარლამენტს. ასე რომ, სინამდვილეში ჩვენ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ვიყავით, ვისაც ერთდროულად ორი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის იდეა დაებადა. თვითონ კონგრესის მესვეურები ასეთ განმარტებას იძლეოდნენ; „კი ბატონო, იმუშაოს პარლამენტმა, ჩვენ ხელს არ შევუშლით, სანამდე იქ ნამდვილ ქართულ, ვაჟკაცურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ და მხოლოდ მაშინ ჩავერევით საქმეში, თუ დავინახეთ, რომ ამ გზას გადაუხვიესო“. იმის განსჯას, თუ რამდენად ქართული და ვაჟკაცური იქნებოდა პარლამენტის გადაწყვეტილებები, ისინი, რა თქმა უნდა, თავის თავზე იღებდნენ.

აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში დატრიალებულ ამბებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები და მათი საქმის გამგრძელებლები დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიციის სახით მთლიანად რუსეთს აბრალებენ, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ევგენი პრიმაკოვმა ორჯერ ჩამოიყვანა ვლადისლავ არძინბა თბილისში მოსალაპარაკებლად.

საპრეზიდენტო დღი საქართველოში

აფხაზების და ოსების მტრულ დამოკიდებულობას საქართველოს სახელმწიფოსადმი სხვა მიზეზები აქვს. ის თანდათან ღვივდებოდა წლების განმავლობაში სწორედ ნაციონალური მოძრაობის წინამორბედთა მოღვაწეობის შედეგად. მახსოვს, როცა 1989 წლის ივნისის ბოლოს საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა შედგა, ჩვენი ეროვნული უმცირესობებიდან ყრილობაზე არავინ იყო წარმოდგენილი, გარდა ქალბატონი ადა მარშანიასი, ისიც აფხაზეთის მაშინდელი ხელმძღვანელობის მანდატის გარეშე. ამ ყრილობაზე მეც გახლდით. მივედი სახალხო ფრონტის მომავალ თავმჯდომარესთან და ვკითხე: ბატონო ნოდარ, რატომ არ არიან მოწვეული ოსები და აფხაზები-მეთქი. მან ერთი ცივად შემომხედა, უსიტყვოდ ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე ზურგი შემაქცია და გამშორდა. ამავე კითხვით ელდარ შენგელაიასაც მივმართე. რომელიც ყრილობას ესწრებოდა. მას, რასაკვირველია, ზურგი არ შეუქცევია და ზრდილობიანად მიპასუხა: მართალი ბრძანდებით, აუცილებლად მოვიწვევთ, როგორც კი დავფუძნდებითო. სხვათა შორის, ყრილობაზე წაიკითხეს ცხინვალიდან ოსი არაფორმალების მიერ გამოგზავნილი მილოცვის დეპეშა ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც უპასუხოდ დატოვეს. ასე რომ, არა მარტო გეოგრაფიულად და ლინგვისტურად, არამედ ყოფაქცევითაც ოსებმა უფრო მეტი ევროპულობა გამოიჩინეს, ვიდრე ჩვენ. როგორც ჩანს, ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებს თავიდანვე არ ჰქონდათ შეგნებული რესპუბლიკაში მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობებთან თანამშრომლობის აუცილებლობა ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში და ის საშინელებები, რაც მათთან განხეთქილებას და სამოქალაქო ომს შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მალე მათ რატომღაც გადაწყვიტეს ცხინვალში წასულიყვნენ მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად, თუმცა ოსების წარმომადგენლები წინასწარ ჩამოვიდნენ თბილისში და სთხოვეს, სამიტინგოდ ნუ ჩამოხვალთ, იმიტომ, რომ ხალხი ამას არასწორად გაიგებს და მდგომარეობა დაიძაბებაო. მახსოვს, ისიც დააყოლეს, იმდენი კაცი ჩამოდით მოსალაპარაკებლად, რომ პურმარილი არ გაგვიჭირდესო. მაინც არ დაიშალეს და რამდენიმე ათასი კაცი გაემგზავრა ცხინვალს. საქმე შეიძლებოდა სისხლისღვრით დამთავრებულიყო, რომ მაშინდელ მილიციას არ ემარჯვა და ორ ეგზალტირებულ ხალხის ჯგუფებს შორის არ ჩამდგარიყო, თუმცა ოსებსა და ქართველებს შორის დამოკიდებულება მაინც მოიწამლა და თანდათან სულ უფრო და უფრო გაუარესდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარლამენტმა, რომელშიც ყოფილი არაფორმალები წარმოადგენდნენ უმრავლესობას, სტვენა-ყიჟინით და იატაკზე ფეხების ბრაგუნით სამხრეთ-ოსეთის ავტონომიის გაუქმება დაადგინა.

ასე თანდათან, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა გაუცხოება ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. რომ იტყვიან სასიკვდილო ლახვარი ჩვენს ოსებთან და აფხაზებთან ურთიერთობის საქმეს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა და მისმა თანამოაზრეებმა ჩასცეს ცხინვალის რეგიონში შეჭრით. ახლა ისინი პატარა ბავშვებივით იმართლებენ თავს, პირველად ჩვენ არ გვისვრია, პირველად რუსებმა და ოსებმა ისროლესო. იმის თქმა ავიწყდებათ, წლების განმავლობაში როგორ წამლავდნენ რუსეთთან ურთიერთობას სიტყვით თუ საქმით და თავსაც იწონებდნენ ამით, აი, ნახეთ როგორი ჭეშმარიტი ევროპელები ვართ და როგორ შეუდრეკლად ვებრძვით რუსეთის იმპერიასო. ხან საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის გახსნით, ხან ქუთაისში ომში დაღუპულთა მემორიალის აფეთქებით გასაოცარი გულმოდგინებით და თანმიმდევრობით ცდილობდნენ რუსეთის გაღიზიანებას.

აღარ მახსოვს, ზუსტად როდის, იყო რუსულ ჟურნალ-გაზეთებში აღშფოთებული წერილების კორიანტელი დადგა, თბილისში საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნაო. ერთი წლის შემდეგ შვებულებით თბილისში ჩამოვედი და წავედი ამ მუზეუმის სანახავად. ვხედავ შესასვლელის თავზე უშველებელი ტრანსპარანტია გაჭიმული წარწერით „საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი“, თუ არ ვცდები, ინგლისურად და რუსულად, შევედი ვესტიბიულში, მღებავებს ხარაჩოები ჰქონდათ გამართული და რემონტს აკეთებდნენ. ვიკითხე, მუზეუმში როგორ უნდა შევიდე მეთქი. მიპასუხეს, მუზეუმი შენობის რემონტს რომ დავამთავრებთ, მერე გაიხსნებაო. გამახსენდა რუსთაველის „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. აქ არა თუ ახალი მოყვრის ძებნის, უკვე არსებული მოყვრის მტრად გადაქცევის აშკარად წარმატებულ მცდელობასთან გვქონდა საქმე.

ამ ყველაფრის ერთი კაცისთვის დაბრალებაც ნამდვილად არ იქნებოდა მართალი. რატომ არავინ გამოჩნდა ისე გონიერი მის გუნდში, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა დაეშალა? **კიდევ უფრო უცნაური ასახსნელია, რაც აგვისტოს ომის შემდეგ მოხდა: წაგებული ომის შემდეგ ძვეძნის პირველი პირი ჩვეულებრივ ტოვებს თავის პოსტს, თავის ქვეყანას და საზღვარგარეთ პოულობს თავშესაფარს. ასე მოიქცა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III, რომელმაც 1870 წელს გერმანელებთან ომში დამარცხების შემდეგ ინგლისს შეაფარა თავი და იქვე გარდაიცვალა, ასე მოიქცა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II ჰოჰენცოლერნი, რომელიც 1918 წელს ანტანტასთან ომში დამარცხების შემდეგ ჰოლანდიაში გაიქცა და იქ გაატარა დარჩენილი წლები. უფრო ახლო წარსულს თუ გავიხსენებთ, 1974 წელს საბერძნეთის მმართველ ხუნტას მაშინვე დაატოვებინეს ხელისუფლება, როგორც კი თურქეთმა ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია მოახდინა. მხოლოდ ჩვენს პატარა სამშობლოში ხდება ასეთი რამ, როცა ასე უგუნურად დაწყებული და წაგებული ომის შემდეგ კიდევ წლების განმავლობაში პრეზიდენტი ისევ არხეინად იჯდა სკამზე და ქვეყანას განაგებდა, თან გვეუბნებოდა, ვაჰ, როგორ გადამირჩა რუსეთი, სულ ცოტა დააკლდა, რომ ამერიკის მეექვსე ფლოტი უნდა დაძრულიყო შავი ზღვისკენ. აი მაშინ კი ეტირებოდათ რუსებს დედაო.** იმხანად ერთი ჩემი ბავშვობის მეგობარი შემხვდა და ჩვენი საუბარიც ხუთდღიან ომს შეეხო, „კაცო, სულ რო იძახით, მიშა იმნაირია, მიშა იმნაირიაო, სხვები რა ძალიან ჭკვიანები არიან? რაც საქართველოში დაბრუნდა ყმაწვილს ყურში სულ ის ესმოდა, რო რუსეთი ჩვენი მტერია, რუსეთს უნდა ომი „დავუფიქსიროთ“. ეგეც ადგა და „დაუფიქსირა“, ხომ არ გამოუცხადებია!“. ავლაბარში, სადაც მე გავიზარდე, სიტყვა „იმნაირი“ იხმარება როგორც ევფემიზმი ფსიქიკურ ან სექსუალურ სფეროში გადახრის აღსანიშნავად. ჩემს მეგობარს, როგორც ჩანს, მოერიდა პირდაპირ ეთქვა: რაც ალხანა, ის ჩალხანა, რაც თქვენ გიჟ ვრაცუები, ისეც თქვენი პრეზიდენტიო და უფრო რბილი გამოთქმა იხმარა.

ყველამ ვიცით, თუ რა ადვილია საქმის გაფუჭება და რა ძნელია წამხდარი საქმის გამოსწორება, მით უმეტეს თუ ოპონენტები ყოველნაირად ცდილობენ ამაში ხელის შეშლას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის როგორც წარსულში, ისე უახლეს ეპოქაში მხოლოდ შავ ფერებში დახატვა, როგორც ამას დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია აკეთებს, გაუმართლებელია როგორც ისტორიული ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ისე კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობით ჩვენს ყველაზე დიდ მეზობელთან, რომელიც უმთავრესი მოთამაშეა არა ოდენ ჩვენს რეგიონში და ასეთად დარჩება სულ ცოტა ორი საუკუნის განმავლობაში. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ისე იქცევიან, თითქოს რაც უფრო მეტს ვლანძღავთ რუსეთს და გავაუარესებთ მასთან ურთიერთობას, მით უფრო გავიზრდებით ევროპელების და ამერიკელების თვალში და დავიმსახურებთ მათ სიმპათიას, დავუახლოვდებით დასავლეთ ევროპას და უფრო გავზრდით ტერიტორიული გამთლიანების შანსს, საქმე კი სწორედ რომ პირიქითაა – ოსების და აფხაზების ჩვენკენ შემობრუნება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გარეშე წარმოუდგენელია, ამისთვის კი სწორედ ისეთი პრეზიდენტია საჭირო, როგორც ქალბატონი სალომეა, რომელმაც იცის სად რა უნდა თქვას. ისინი კი, ვინც პარიზში გაზრდილ ქალბატონს აქილიკებს, როგორ თუ ქართული შეეშალა და „შერწყმულის“ მაგივრად „შერტყმული“ თქვაო, ამით მხოლოდ თავის სიმჩატეს და არასერიოზულობას ამტკიცებს. საუბედუროდ, მჩატე და ჭკუამხიარული ხალხის ნაკლებობა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებში არ იგრძნობა. ამიტომაც ხმარობდა ბატონი მიშა პარლამენტში მათ მოსაწონებლად ასეთ გამოთქმებს – „მაგრები ვართ“ და „ფარჩაკები არა ვართ“ და სხვა ამგვარს, ისე რომ ეს მათ არ ეხამუშებოდათ. ან იმაში რას ხედავენ ცუდს, რომ ბათუმში რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი გახსნილიყო? აბა სხვანაირად როგორ წარმოუდგენიათ რუსეთთან თანამშრომლობა, მათთან ურთიერთობის ნორმალიზაცია თუ გაუმჯობესება? იციან კი მათ, ვინ ან როდის წაართვა თურქეთს ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი დღეს რომ საქართველოს ნაწილს წარმოადგენენ? შთაბეჭდილება ისეთია, რომ ისინი ამ ამბავს გიორგი სააკაძეს ან არსენა ოძელაშვილს მიაწერენ.

თბილისში ერთ-ერთ გამოსაჩენ ადგილზე ანატოლი სობჩაკის ბიუსტი დგას. ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, ჩემი აზრით თუ ვინმეს საქართველოში ძეგლის დადგმა ეკუთვნის, ეს ადმირალი ბალტინია. სწორედ მისმა ჩარევამ გვიხსნა საქართველო სამოქალაქო ომისგან, რომელიც ბევრად უფრო საშინელი გახდებოდა, ვიდრე აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია და ბოლოს მოუღებდა საქართველოს. ამ უბედურებას კი გადავურჩით, მაგრამ ჩვენი უნარი განდგომილ რეგიონებთან ურთიერთობის მოწესრიგებისა, საკუთრების დაცვისა, გადასახადების აგროვებისა, დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნისა, მთავრობის პირთა არჩევის და გადარჩევისა, ანუ ყველაფერი ის, რაც კვაჭის ჰქონდა მხედველობაში, როცა სახელმწიფოს აშენების უნარზე ლაპარაკობდა, ჯერ ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საპრეზიდენტო მარათონი დასასრულს უახლოვდება. მალე დავინახავთ ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი – ბატონი გრიგოლ ვაშაძე, რომელიც ისევ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის გაგრძელებას აპირებს და ვერაფერ ახალს ვერ გვპირდება, თუ ძალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც შეგნებული აქვს მდგომარეობის სირთულე და მზად არის, დაადგეს ჩვენს უახლოეს მეზობელთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მეტად ძნელ გზას.

მიხეილ გამყრელიძე,
ნიუ-იორკი.

ყველა ტაქსის თეთრად გადაღებვა საჭირო არ იქნება

ბაირკვა, ვის შეეძლება თბილისში განსხვავებული ფერის მანქანით „ტაქსაობა“. პირებს, რომელთა ძირითადი საქმიანობა სატაქსო მომსახურება არ იქნება, შეეძლებათ სხვა ფერის მანქანებითაც იმოძრაონ. როგორც ჩანს, მერიამ ტაქსისტების მიმართ პოზიციის შერბილება გადაწყვიტა.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე ახალი ინიციატივით საკრებულოს სატრანსპორტო კომისიის სხდომაზე წარდგა. წინადადებას საკრებულომ მხარი დაუჭირა.

„ტაქსების რეფორმის დაანონსებისთანავე ვთქვით, რომ ეს არ უნდა იყოს ტვირთი ადამიანებისთვის. ჩვენი მიზანი არ არის, რომ ბაზარზე ტაქსების რაოდენობა შემცირდეს. ტაქსები ბაზარმა მოამრავლა თვითონ და იყო მიზეზები, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის განუვითარებლობასთან იყო კავშირში.

ჩვენ წარმოვადგინეთ ალტერნატივა — B კატეგორიის ტაქსები, რომელიც ვიზუალში არ არის ტაქსი და „ქოლცენტრების“ მეშვეობით ღებულობს კლიენტებს და ემსახურება მათ. ამას ახერხებენ სამსახურამდე ან სამსახურის შემდეგ. მათ თავისუფლად შეუძლიათ B კატეგორია მოიპოვონ“, — აცხადებს მამუკა მუმლაძე.

მისივე თქმით, რაც შეეხება A და B კატეგორიებს შორის განსხვავებას, მამუკა მუმლაძე განმარტავს, რომ B კატეგორიის მქონე მძღოლებს არ ექნებათ გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობის საშუალება.

„მათ არ ექნებათ საშუალება ისარგებლონ ტაქსის გასაჩერებელი უფასო ადგილებით, მათ არ ექნებათ რეკლამის განთავსების უფლება და ა.შ.“,— აცხადებს მამუკა მუმლაძე.

ლიცენზიის მქონე ტაქსის მძღოლები კი ავტომობილების თეთრად შესაღებად უფასო ვაუჩერს მიიღებენ. ეს სიახლე რამდენიმე დღის წინ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მივიღეთ გადაწყვეტილება ავტომობილების შეღებვასთან დაკავშირებით, ლიცენზიის მქონე მძღოლებს გადავცეთ ვაუჩერი, რომ მათ მოახდინონ ავტომობილების თეთრად გადაღებვა. მათ ეს არ დაუჯდებათ არც ერთი თეთრი. ეს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ტაქსის მძღოლების მდგომარეობას და ხელს შეუწყობს რეფორმის სწრაფ და ეფექტიან განხორციელებას“, — განაცხადა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, ამ ვაუჩერებში თანხა მერიის ბიუჯეტიდან არ დაიხარჯება. ტაქსის მძღოლებს მათ მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული კომპანია გადასცემს, რომელსაც ტაქსებზე ორი წლით რეკლამის განთავსების უფლება მიენიჭება. იგივე კომპანია მისცემს ტაქსის მძღოლებს მანქანის ქიმიური წმენდის ვაუჩერებსაც.

საბოლოოდ ტაქსის მძღოლების გადასაწყვეტია, აღნიშნული სერვისით ისარგებლებენ თუ არა. თბილისის ვიცე-მერის ირაკლი ხმალაძის თქმით, კომპანია ტენდერის საშუალებით, ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში გამოვლინდება.

„გამოვლინდება ერთი კომპანია, რომელიც ვალდებული იქნება, გააკეთოს ტაქსის მძღოლებთან ავტომანქანის შეღებვის შეთავაზება. მძღოლებისთვის ეს არის საუკეთესო შეთავაზება, 2 წლით რეკლამის განთავსების სანაცვლოდ. დღეს, სანამ ამ შეთავაზებას გავაკეთებდით, ტაქსის მძღოლები იძახდნენ, სად გვაქვს მანქანის გადასაღები ფულიო, არადა, იცოდნენ, რომ რეკლამები ჰქონდათ და მათგან მიღებული შემოსავლით შეეძლოთ ავტომანქანა გადაეღებათ.

ჩვენ ვითამაშეთ როლი ტაქსის მძღოლებს და კერძო სექტორს შორის, რომ საუკეთესო წინადადება მიეღოთ. ტაქსის მძღოლის ნებაზეა დამოკიდებული, ამ შეთავაზებას მიიღებს თუ არა.

შეღებვის ფასები დიფერენცირებულია, 350 ლარიდან 1000-ლარამდე. ჯერ არ ვიცით, საშუალო ფასი რა დაჯდება. მთავარია ის, რომ ორივე მომსახურებას ტაქსის მძღოლებს ეს კომპანია დაუფინანსებს.

რაც შეეხება ქიმიურ წმენდას, ეს აპრობირებული სერვისია. ყველამ კარგად ვიცით, ქიმწმენდამდე და ქიმიური წმენდის შემდეგ რამხელა სხვაობაა სალონში, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, ეს სერვისიც შეგვეთავაზებინა. ტაქსის მძღოლებს ამ ეტაპზე არ ექნებათ ვალდებულება, კონკრეტული პერიოდულობით ქიმიური წმენდა ჩაუტარონ მანქანას, თუმცა, რეფორმა ჯერ კიდევ გრძელდება“, — განაცხადა ხმალაძემ.

მძღოლებს ავტომანქანის თეთრად გადაღებვის შემთხვევაში მანქანის პასპორტის შეცვლაც მოუწევთ, რომელიც მძღოლებს 35 ლარი დაუჯდებათ. ამასთან, 2019 წლის ოქტომბრიდან მარჯვენასაჭიანი და ორკარიანი ავტომობილებით ტაქსის მომსახურება აიკრძალება.

ბექა დანელია

დიმიტრი ქუმსიშვილს ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აღარ დაიცავს

ეკონომიკის ყოფილ მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აღარ დაიცავს. როგორც ადვოკატმა განცხადა, მასსა და მის კლიენტს შორის ხელშეკრულება დაახლოებით ორი კვირის წინ შეწყდა. მისივე თქმით, გარკვეულ საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო, ხელშეკრულება მისი ინიციატივით გაწყვიტეს.

„ვადასტურებ, რომ დაახლოებით ორი კვირის წინათ ჩემსა და დიმიტრი ქუმსიშვილს შორის ხელშეკრულება შეწყდა. ესაა კლასიკური მაგალითი მხარეთა შეუთანხმებლობის. ამაზე მეტს ვერ გეტყვით კონფიდენციალობიდან გამომდინარე. ვალდებული ვარ, გითხრათ, დღესაც მიმაჩნია, რომ ეს ადამიანი აბსოლუტურად უდანაშაულოა. ყველა საქმეზე, რომელშიც ფიგურირებდა ქუმსიშვილი, მათ შორის, „ომეგას“ საქმეზე, — განაცხადა დიმიტრი გაბუნიამ.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა 20.8 პროცენტით გაიზარდა

2018 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 9 124.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 20.8 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 2 448.1 მლნ. აშშ დოლარი იყო (25.7 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 6 676.7 მლნ. აშშ დოლარი (19.1 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წლის იანვარ-სექტემბერში 4 228.6 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46.3 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეტალური მონაცემები გამოქვეყნდება მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს.

რუსთავის უფუნქციო რკინიგზის სადგურს ძარცვავენ!



სამი პირი დააკავეს 1953 წელს აშენებული რუსთავის რკინიგზის სადგურის შენობის დაშლა-ნგრევისთვის, რაც მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყეს.

„რკინიგზის სადგურის სახურავის ერთი ნაწილი ჩამოინგრა. ამის შემდეგ ადამიანების ჯგუფმა შენობის დემონტაჟი დაიწყო. იპარავდნენ ყველაფერს — ხის მასალებს, აგურს, კარ-ფანჯრებს“, — უთხრეს რადიო თავისუფლებას „საქართველოს რკინიგზაში“. შენობის ძარცვის ფაქტს ადგილობრივი სამართალდამცველები იძიებენ.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რუსთავის ბოლოს, ტუფის ქვით აშენებული რკინიგზის სადგურის შენობა 2010 წელს მართვის უფლებით „საქართველოს რკინიგზის“ მიერ დაფუძნებულ კომპანია „რეილლეივ ფროფერთის“ მენეჯმენტს გადაეცა და დღემდე მის განკარგულებაშია. მიმდინარე წლის 30 მარტს რუსთავის მერმა ირაკლი ტაბაღუამ წერილობით მიმართა „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურ დირექტორს დავით ფერაძეს, თბილისი-რუსთავის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის თხოვნით.

„ყოველდღიურად რუსთავიდან თბილისში 300-მდე სამარშრუტო მიკროავტობუსი ან მსუბუქი ტაქსი გადაადგილდება და 15 ათასამდე მგზავრი გადაჰყავთ, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც რუსთავის, ასევე თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ამასთანავე, იწვევს აღნიშნულ ქალაქებს შორის არსებული საავტომობილო გზების გადატვირთვას“, — ნათქვამია რადიო თავისუფლებისთვის მოწოდებულ რუსთავის მერის წერილში.

როგორც რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა ამბობს, ქალაქის მუნიციპალიტეტის სურვილია, „საქართველოს რკინიგზასთან“ ერთად გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები არსებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად:

„ეს იქნება საუკეთესო გზა განიტვირთოს, პირველ რიგში, დედაქალაქი, განახლდეს რუსთავში ქალაქთა შორის გადაადგილების კულტურა და სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობა გახდეს პრიორიტეტული სტუდენტებისა და დედაქალაქში მომუშავე რუსთაველი მოქალაქეებისთვის“.

ამჟამად არსებულ სარკინიგზო მაგისტრალით ბაქოდან მომავალი სატვირთო მატარებლები სარგებლობენ, თუმცა — იშვიათად. გარდა ამისა, დღეში ერთხელ გარდაბნიდან თბილისამდე და პირიქით — სამგზავრო მატარებელი დადის საბჭოთა დროინდელი ვაგონების შემადგენლობით.

ტაბაღუა შენიშნავს, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უცხოელ პარტნიორებთან, რათა ქალაქში დაიწყოს რევიტალიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს ძველი, თავის დროზე საქალაქო მნიშვნელობის, ობიექტების განახლებას.

ტაბაღუას წერილის თანახმად, რკინიგზის სადგურის შენობის განახლება, მისთვის ძველი ფუნქციის დაბრუნება და მასში თანამედროვე კომპონენტების შეტანა, ერთი მხრივ, მიმზიდველს გახდის სარკინიგზო გადაადგილებას რუსთავსა და თბილისს შორის, მეორე მხრივ კი, გამოაცოცხლებს და ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს გაუჩენს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებს, კერძოდ, დავით გარეჯის ქუჩასა და გიორგი ჭყონდიდელის სახელობის დასახლებას.

რუსთავის მერი „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურ დირექტორს დავით ფერაძეს, აქვე სწერს, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სტუდენტებისთვის შეღავათიანი სატრანსპორტო ტარიფის დაწესება, რაც შესაძლებელი იქნება რკინიგზის განვითარების პირობებში.

როგორც რუსთავის მერიაში რადიო თავისუფლებას უთხრეს, მარტში გაგზავნილ წერილზე პასუხი დღემდე არ მიუღიათ, ხოლო „საქართველოს რკინიგზაში“ განგვიცხადეს, რომ ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას გაკეთებენ.

დავით მჭედლიძე

◎ ახალ პატრონს აღარ მოვითმენთ!

ასლან კობახია: აფხაზეთი ზღარბივითაა: შეიძლება, მოკლა, მაგრამ ვერ ჩაყლაპავ“

უკვე რამდენიმე წელია, ოკუპირებული აფხაზეთი მედგრად უწევს წინააღმდეგობას ოკუპანტ რუსეთს მიწისა და უძრავი ქონების მიყიდვის საკითხებში. თავის მხრივ, მოსკოვი არ ეშვება და პერიოდულად შეახსენებს „ურჩ“ სოხუმს, რომ „დახმარებას თავისი ფასი აქვს“. ბოლო დრომდე „კეთილი და გულუხვი“ კრემლი აფხაზეთისადმი „გაცივდა“ და ზეწოლის სხვა უამრავ მეთოდთან ერთად, საგრძნობლად შეუზღუდა სოხუმს ფინანსური დახმარება. შედეგად მის მიერ „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ აღიარებული, რეალურად კი დაპყრობილი რეგიონი, რომლის ბიუჯეტი თითქმის 90%-ით რუსული დოტაციებით ივსებოდა, ფაქტობრივად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა და მართალია, „ურჩობას“ ჯერჯერობით მაინც ინარჩუნებს, თუმცა როდემდე გაუძლებს — ძნელი სათქმელია. ამასთან, მოსკოვში „უმადური“ აფხაზებისადმი უკმაყოფილების ზრდის პირდაპირპროპორციულად, უკმაყოფილება მძლავრდება სოხუმშიც. მეტიც, აფხაზურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში რუსეთთან ურთიერთობების საკითხში განხეთქილებაა.

დღეს მოსკოვს ფაქტობრივად, ღიად დაუპირისპირდა აფხაზი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, უახლოეს წარსულში დე ფაქტო ვიცე-პრემიერი და შს მინისტრი ასლან კობახია. „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან პირდაპირ განაცხადა, რომ „აფხაზები მათ ზემოთ პატრონს არ მოითმენენ“ და ურჩია მოსკოვს, „აფხაზეთის კედელთან მიყენებას არ ეცადოს“.

„აქცენტი“ ბ-ნი კობახიას მიერ გაცემული პასუხებიდან რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ:

ჩვენ ყველა ქარხანა, ფაბრიკა, — რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი ჯართად დავყიდეთ არა მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისთვის, არამედ იმისთვის, რომ მტერთან დაპირისპირებაში გაგვეძლო. ერთი ვაზნაც კი არავის უჩუქებია ჩვენთვის. ამ ბრძოლაში კინაღამ დავიწვით და დღეს ინტუიტიურად ძალიან კარგად ვგრძნობთ იმ რისკებს, რომლებიც მშვენივრად იციან იმ „კეთილისმსურველებმაც“, ვინც ამ გადაწყვეტილებების მიღებას გვკარნახობს! ჩვენთვის დამოუკიდებლობაც არავის უჩუქებია — ის საკუთარი კბილებით მოვიპოვეთ! ასე რომ, რა და როდის გავაკეთოთ — ჩვენი გადასაწყვეტია! დღეს ასჯერ და ათასჯერ მადლიერები ვართ თანამედროვე რუსეთისა ბლოკადის მოხსნის, ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების და სხვა მრავალი დახმარების გამო, მაგრამ თუ ეს რაღაცას გვავალდებულებს, თუ იწყებენ მითითებებს, რა გავაკეთოთ და როგორ, მაშინ სჯობს, ნურაფერს გაგვიკეთებენ! მიწისა და საკუთრების უცხოელებისთვის მიყიდვის დაშვების საკითხი არ განიხილება, რადგან 1) ასეა გაწერილი ჩვენს კონსტიტუციაში და 2) ეს ჩვენი შიდა საკითხებია!“;

„ამ კონტექსტში ახალი ათონის მონასტრის საკითხს გავიხსენებ. რატომ მოხდა ეს საეკლესიო კონფლიქტი?! — იმიტომ, რომ როდესაც გარედან უხეშად იწყებენ საქმეში ჩარევას, აი, ასეთი შედეგი შეიძლება, დადგეს!“;

„დღეს ძალიან კარგად გვიმუშავებს ორმხრივი შეთანხმებები აფხაზეთის საზღვრების დაცვის, აფხაზეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. აფხაზეთი განუხრელად არის ორიენტირებული რუსეთის ფედერაციაზე. ასე იყო დაწყებული ვლადისლავ არძინბას დროიდანაც კი, რომელიც, სხვათა შორის, რუსეთმა არა და არ აღიარა პრეზიდენტად. და ასე იქნება მომავალშიც. არა იმიტომ, რომ ჩვენ ასე მოგვინდა: ჩვენ ისტორიულად აღმოვჩნდით ამ ადგილზე და რუსეთი ჩვენს გვერდით აღმოჩნდა. აფხაზეთს მხრებზე ვერავინ მოიგდებს და სხვაგან ვერ გადაიტანს... დღეს ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ, მაგრამ როცა ვინმე ჩამოდის აქ, ან მოსკოვში ზის კაბინეტებში და განიხილავს აფხაზეთის შიდა საქმეებს... ბიჭებო, მოდით, საკუთარ თავს მიხედეთ! რა უფლება აქვს აფხაზ დეპუტატს, მოსკოვში ჩავიდეს და სახელმწიფო სათათბიროს უბრძანოს, რა გააკეთოს? ზუსტად ასევე, რა უფლება აქვს რომელიმე რუს დეპუტატს ან სხვა ჩინოსანს, აქ ჩამოდიოდეს და გვიბრძანებდეს, რა გავაკეთოთ?! ასე არ შეიძლება! ქართველები იქცეოდნენ ასე და ამის გამო მათთან კონფლიქტი მოგვივიდა: აქ პატრონებად იგრძნეს თავი. ეს რომ არა, არავითარი ომიც არ იქნებოდა. და ახლა ახალ პატრონს ნამდვილად არ შევეგუებით! ჩვენ შეიძლება, მოგვკლა, მაგრამ ახალ პატრონს არ შევეგუებით! იძულებულები ვიქნებით, ღიად ვისაუბროთ. და მე ვსაუბრობ. მე ამას ვხედავ. ვხედავ მთელი ამ წლების განმავლობაში. ეს უპერსპექტივო თამაშია. ჩინოსნები მოდიან და მიდიან, აფხაზი ხალხი კი რჩება. აფხაზები ძალიან ვგავართ ზღარბს: როცა ვინმე ემუქრება, ის ყალყზე დგება; შეიძლება, გაჭყლიტო, მაგრამ ჩაყლაპვით ვერ ჩაყლაპავ და არავის ვურჩევ, მისი ჩაყლაპვა სცადოს!“

„რატომ მოგვივიდა კონფლიქტი ქართველებთან? — იმიტომ, რომ აფხაზების ყურით აძეთ-იძით ტარება არ შეიძლება. აფხაზს უნდა ემეგობრო და ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მეგობრობა შეგვიძლია: მაშინაც კი, ბლოკადის დროს, როცა ჩვენს ძალებს ცხენებივით შეაბამდნენ ხოლმე ურიკებით ტვირთების სათრევად, არ გამოგვითძვამს რუსების მიმართ წყენა! აფხაზეთი ორიენტირებული იყო და იქნება კიდეც რუსეთის ფედერაციაზე, თუმცა მოგვეცით შესაძლებლობა, შიდა პოლიტიკური საკითხები თავად გადავჭრათ!“.

ისა კოაძოი (მარჯვნივ) ინგუშეთის პრეზიდენტთან ერთად

ისა კოაძოი: ქართველებო, ილოცეთ ინგუშებისთვის და მუვიდოზისთვის

საქართველოს მეზობლად, ინგუშეთში, მოსახლეობა პრეზიდენტ იუნუს-ბეკ ევკუროვის გადადგომას ითხოვს. 26 სექტემბერს მან ჩეჩნეთს საკმაოდ დიდი ტერიტორია დაუთმო, ინგუშთა ტეიპების (თემების) უმრავლესობამ პრეზიდენტს ღალატში დასდო ბრალი. ინგუშეთის დედაქალაქ მაგასში სტიქიური მიტინგი, რომელშიც 30 000-მდე ადამიანია ჩაბმული, დღემდე გრძელდება. საპროტესტო აქცია 15 ოქტომბრამდეა სანქცირებული, ევკუროვმა მადლობა გადაუხადა კრემლს, რომ მიტინგის ძალისმიერი გზით დაშლას ჯერჯერობით, „არ აიძულებენ“. აქციის პირველ დღეებში ინგუშეთის OMON-მა ხალხის დარბევის ბრძანება არ შეასრულა. რესპუბლიკაში ამ დრომდე გათიშულია მობილური ინტერნეტი, შეზღუდვებია სატელეფონო და ინტერნეტ კავშირზე, გადაადგილებაზე, შეყვანილია დამატებითი სპეციალური დანიშნულების და როსგვარდიის ნაწილები.

სიტუაცია ჩიხშია — ინგუშები მიწების დაბრუნებას კატეგორიულად ითხოვენ, ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ამას კატეგორიულად გამორიცხავს. პრეზიდენტის პოსტის დატოვებაზე არც იუნუს-ბეკ ევკუროვი არ ფიქრობს. გამოგონილი ბრალდებებით, საპროტესტო აქციის ორი ლიდერი დააპატიმრეს.

მოსკოვი ფედერაციის ორი სუბიექტის დავაში თითქოს არ ერევა, თუმცა ცნობილი ინგუში მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის, ინგუშთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის „ნიისხოს“ (სამართლიანობა) ფუძემდებლის ისა კოაძოის (კოძოევის) აზრით, ვაინახებს შორის შუღლის ჩამოგდების უკან სწორედ რუსეთი დგას.

„ამერიკის ხმა“ 80 წლის ისა კოაძოის ინგუშეთის დედაქალაქ მაგასში დაუკავშირდა:

— ინგუშეთის პრეზიდენტსა და პარლამენტს არ შეიძლება არ სცოდნოდათ, რა რეაქცია ექნებოდა ხალხს ჩეჩნეთისთვის მიწების გადაცემაზე? რატომ ჩაიყენა პრეზიდენტ ევკუროვმა ასეთ რთულ სიტუაციაში თავი? დღეს ხომ პრაქტიკულად ყველა ინგუშური ტეიპი მის წინააღმდეგ გამოდის, თქვენი აზრით, მას არ დაუტოვეს არჩევანი?

— მე მგონია, რომ ზემოდან იყო ბრძანება. რამზანმა (კადიროვმა) მოინდომა ამ მიწების წაღება და ჩვენი პრეზიდენტი ასე მოსკოვის ზეწოლით მოიქცა. ჩვენთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, ხალხები ფორპოსტებად და გარიყულებად იყოფა. აქამდე ფორპოსტი ჩრდილოეთ ოსეთი იყო. ახლა ფორპოსტის სტატუსზე ჩეჩნეთს აქვს პრეტენზია. ფორპოსტებს ძალიან ბევრი რამის უფლება აქვთ, რისი უფლებაც უბრალო ხალხებს არ გვაქვს.

— თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ რესპუბლიკებმა მხოლოდ 1290 ჰექტარი მიწა გაცვალეს...

— როცა გასაიდუმლოებული ხელშეკრულება გასაჯაროვდა, ნათელი გახდა, რომ რეალურად ინგუშეთი 26 000-დან 32 000-მდე ჰექტარ მიწას კარგავს. კარტოგრაფები ამ დოკუმენტს კიდევ სწავლობენ. ის 1000 ჰექტარიც, რომელიც თითქოს ჩეჩნეთმა „გადმოგვცა“ ოფიციალურად ინგუშეთის ტერიტორიაა. არ ვიცი, იუნუს-ბეკ ევკუროვი რაზე ფიქრობდა, ეგონა, რომ რადგან ეს მიწები მთაშია, იქ ადამიანები არ ცხოვრობენ, ინგუშები ამას გულთან ახლოს

ტერიტორიები, რომლებსაც ინგუშეთი კარგავს

მოსკოვი „უკრაინაში რუსი მართლმადიდებლების დასაცავად“ და „კონსტანტინეპოლის დასაბრუნებლად“ ემზადება

მართლმადიდებელ ეკლესიათა დიდი ომი აქტიურ ფაზაში გადადის. მოსკოვმა მეორე დღესვე უპასუხა კონსტანტინეპოლის გადაწყვეტილებას, უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მისანიჭებლად განსაზღვრული პროცედურების განხორციელება დაიწყოს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ ვითარებაში ჯერჯერობით კვლავინდებურად დუმილს ინარჩუნებს.

მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინება

მსოფლიო საპატრიარქოს ხსენებული გადაწყვეტილების შესახებ საქართველოში 11 ოქტომბერს გახდა ცნობილი. მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინება უკრაინულმა მედიამ გაავრცელა. მასში, კერძოდ, ვკითხულობთ:

„9-დან 11 ოქტომბრის ჩათვლით მისი უწმინდესობის, მსოფლიო პატრიარქის თავმჯდომარეობით წმინდა სინოდი შეიკრიბა. მან სრულად და ხანგრძლივად განიხილა უკრაინის საეკლესიო საქმე პატრიარქის ეგზარქების, მისი უწმინდესობის, პამფილიის არქიეპისკოპოს დანიელისა და ედმონტონის ეპისკოპოს ილარიონის თანდასწრებით და ფართო განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება: 1) დადასტურდეს უკვე მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მსოფლიო საპატრიარქო შეუდგეს უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას; 2) აღდგეს დღეისათვის კიევში მსოფლიო საპატრიარქოს სტაუროპეგია, რომელიც იქ ყოველთვის არსებობდა; 3) მიღებულ და განხილულ იქნას აპელაციის შესახებ თხოვნა არადოგმატური მიზეზებით სქიზმაში აღმოჩენილი ფილარეტ დენისენკოს, მაკარი მალეტიჩისა და მათი მიმდევრების მხრიდან. კონსტანტინოპოლის პატრიარქის კანონიკური პრეროგატივების შესაბამისად, მიღებულ იქნას ასეთი მიმართვები იერარქებისგან და სხვა მღვდელმსახურებისგან ყველა ავტოკეფალური ეკლესიებიდან. ამგვარად, ზემოხსენებული პირები კანონიკურად აღდგნენ თავის საეპისკოპოსო ან სამღვდელო პატივში, ასევე აღდგეს მათივე ერთგული ადამიანების ურთიერთობა ეკლესიასთან; 4) გაუქმდეს 1686 წლის სინოდალური წერილის ვალდებულება, რომელიც იმ დროისთვის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე გაიცა და იკონომიით მოსკოვის პატრიარქს აძლევდა უფლებას, ხელდაესხა უკრაინის მიტროპოლიტი, რომელიც აირჩეოდა სასულიერო პირთა და მისი ეპარქიის მორწმუნეთა კრებაზე და ყველა ღვთისმსახურების დროს უნდა მოეხსენებინა მსოფლიო პატრიარქი პირველ იერარქად, ეღიარებინა და დაედასტურებინა თავისი კანონიკური დამოკიდებულება კონსტანტინეპოლის დედაეკლესიაზე; 5) მიემართოს ყველა ჩართულ მხარეს მოწოდებით, თავი შეიკავონ ეკლესიების, მონასტრებისა და სხვა ქონების მიტაცებისგან, ასევე სხვა ძალისმიერი ქმედებებისა და შურისძიებისგან, რათა გაიმარჯვოს ქრისტეს სიყვარულმა და მშვიდობამ“.

„დღეს ჩვენ ავტოკეფალია მივიღეთ“

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მისი ქვეყნის საეკლესიო საკითხის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში, მოვლენებს ოდნავ გაუსწრო და გამოაცხადა, რომ „დღეს უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო“:

„დღეს ჩვენ ავტოკეფალია მივიღეთ, კრების ჩატარების შემდეგ კი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის არჩეული მეთაური მიიღებს ტომოსს და შედეგად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიები გაერთიანდებიან. ღმერთმა იხილა უკრაინელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. მან შეისმინა ჩვენი ლოცვა და დააფასა ჩვენი შრომაო“.

მოსკოვის მკაცრი პოლიტიკური პასუხი

მოსკოვი კონსტანტინეპოლის ნაბიჯს მეორე დღესვე — 12 ოქტომბერს გამოეხმაურა, თანაც როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკურ დონეებზე.

დღის მეორე ნახევარში გაჩნდა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის პესკოვის განცხადება. მან უკრაინის საეკლესიო საკითხში ჩარევა არ გამორიცხა.

„რუსეთი ყველგან იცავს რუსებისა და რუსულენოვანთა ინტერესებს, მათ შორის — მართლმადიდებლების, რაც აბსოლუტურად გასაგები, დასაბუთებული პოზიციაა“, — ასე უპასუხა პესკოვმა კითხვას უკრაინის საეკლესიო საკითხში რუსეთის შესაძლო ჩარევის თაობაზე.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ შესაძლო ჩარევა „მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ-დიპლომატიური გზებით განხორციელდება“ და რომ რუსული მხარე მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში შემავალი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნაზე რეაგირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს, თუ უკრაინის ხელისუფლება სიტუაციის სამართლებრივ ველში შენარჩუნებას ვერ მოახერხებს და იგი რაღაც მახინჯ, ძალადობრივ გამოვლინებებში გადაიზრდება“.

საპასუხო ზომები - „ბართლომეს ტახტიდან ჩამოცილება“ და „კონსტანტინეპოლის რუსული ეკლესიისთვის დაბრუნება“

12 ოქტომბერსვე კონსტანტინეპოლის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა მოსკოვის საპატრიარქოს სინოდალური ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიის წევრი, დეკანოზი ანდრეი ნოვიკოვი.

იგი რიგი საპასუხო ზომების მიღების ინიციატივით გამოვიდა, რომელიც „ბუნებრივად გამომდინარეობს შექმნილი სიტუაციიდან“.

„კონსტანტინეპოლის ყოფილი საპატრიარქოს ეკლესიისგან განდგომის საფუძველზე თურქეთის ტერიტორიაზე, სტამბოლის ჩათვლით, უნდა შეიქმნას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები.

იხ. 9 გვ.

არ მიიტანდნენ? ეს უძველესი ინგუშური მიწებია, იქ ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლია: უძველესი კოშკები, აკლდამები, სიწმინდეები. ადამიანებისთვის მხოლოდ ის არ არის ძვირფასი, რომ მიწა მატერიალურ სიმდიდრეს გვაძლევს, პირველ რიგში, ისტორიასა და წარსულშია სიმდიდრე.

— რამდენად საფუძვლიანია ვერსია, რომ რამზან კადიროვს ამ მიწების წაღება იმიტომ სურს, რომ იქ ნავთობის მარაგია? როგორც ცნობილია, საზღვრის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, რუსეთის პრეზიდენტმა ფედერალურ საკუთრებაში არსებული „ჩეჩენნეფტხიმპრომი“ ჩეჩნეთის ხელისუფლებას „საჩუქრად“ გადასცა...

— იქ ნამდვილად არის დატიხის საბადო, რომელიც გოგირდწყალბადის მაღალი შემცველობის ზონაშია, ამის გამო ნავთობის მოპოვებაზე უარი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში თქვეს. არ ვიცი, რას ფიქრობს რამზანი, იქნებ მართლაც სურს რუსებთან ერთად ნავთობის ბიზნესის დაწყება, მაგრამ ინგუშებს საკუთარი მშობლიური მიწა, ისტორია უნდათ. ბიზნესს, მატერიალურ სიმდიდრესა და სამშობლოს შორის არის განსხვავება. მით უმეტეს, რომ ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი ერზის სახელმწიფო ნაკრძალის კუთვნილებაა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ვაინახებს შორის ახალი კონფლიქტის ჩასახვა, კავკასიაში რუსეთის მხრიდან საუკუნეების მანძილზე აპრობირებული სცენარით ხდება, მოსკოვი ისევ ცდილობს დაატაკოს ავტოქტონი ხალხები, შემდეგ კი მომრიგებლად მოგვევლინოს.

— არ ვიცი, არსებობს თუ არა ასეთი სცენარი ახლა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თავად რუსეთის ფედერაციისთვის ახალი კონფლიქტის გაჩაღება ჩრდილოეთ კავკასიაში უმძიმესი შედეგების მომტანი იქნება. ამჟამად რუსეთში ძალიან მძიმე ეკონომიკური სიტუაციაა, ჩრდილოეთ კავკასიაში ეს განსაკუთრებით იგრძნობა. ამ ფონზე, ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად სტაბილურობა ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია. აქ სტაბილურობა თუ დაირღვა, რუსეთისთვის ძალიან სახიფათო იქნება. თუ მოსკოვში ასეთ სცენარს ისევ განიხილავენ, ვფიქრობ, რომ ძალიან ცდებიან და დიდ უბედურებას დაიტეხენ თავს. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ თუ რამზან კადიროვმა ჩვენი მიწები ასეთი ფორმით წაიღო და შერჩა, ის ამით დაკმაყოფილდება და ხვალ, მაგალითად, დაღესტნისკენ არ გაიხედავს? ეს პრეცედენტი მთელ კავკასიას ააფეთქებს, რადგან მიწა და საზღვარი აქ ყველაზე მგრძნობიარე თემებია.

КРАСНОДАРСКИЙ КРАЙ
АБХАЗСКАЯ АССР
ЧЕРНОЕ МОРЕ
Батуми
Сухумі
Нальчик
Грозный
Цхинвали
Ахалгори
Ахалкалаки
Тбилиси
Кутаиси
Поти
Сочи
Пятигорск
Ставрополь
Армавир
Краснодар
Тамань
Керчь
Анапа
Новороссийск
Геленджик
Туапсе
Сочи
Гагра
Сухум
Гудаута
Сталинири
Цхинвали
Ахалгори
Ахалкалаки
Батуми
Кобулети
Поти
Зугдиди
Самтредиа
Кутаиси
Боржоми
Гори
Мцхета
Тбилиси
Телави
Грозный
Назрань
Владикавказ
Нальчик
Черкесск
Майкоп

უკეთუ ფერწერას ამ შემზარავი მექანიკური პროგრესის ეპოქაზე მეტი სიცოცხლე უწერია, მაშინ ამ პროგრესს სათავეს დაუდებს სალვადორ დალი.

საგულისყურო ამბები ავტობიოგრაფიული წიგნებიდან

...ჩემს პირველ ლიტერატურულ ცდაზეც ვიტყვი, მაშინ შვიდი წლისა ვიყავი, და აი, რა დავწერე: „ერთხელ ივნისის ღამით, პატარა ბიჭი დედასთან ერთად სეირნობდა. წვიმა მოდიოდა ცას მოწყვეტილი ვარსკვლავებიდან. ბიჭმა ერთი ვარსკვლავი აიღო და ხელისგულით შინ მიიტანა. იქ მან ის ვარსკვლავი თავის ღამის ტაბლაზე დადო და დაპირქვავებული ჭიქა დაამხო, რა არის, არ გაფრენილიყო ცისიერი. მაგრამ, დილით რომ გაიღვიძა, თავზარდაცემულმა შეჰყვირა: ღამე ჭიას შეეჭამა იმისი ვარსკვლავი!“. ამ ზღაპარმა ისერიგად ააღელვა მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს იმისი სული, მას აქეთ ხშირად იმეორებდა, ვითომ ის ზღაპარი ბევრად უკეთესი იყო ოსკარ უაილდის „ბედნიერ უფლისწულზე“.

* * *

...ცხრა წლისამ მე, სალვადორ დალიმ, არა მარტო აღმოვაჩინე მიმიკრიის მოვლენა, არამედ სრული და საყოველთაო თეორიაც გამოვიყვანე, რომელზეც თანდათან მოგიყვებით.

კადაკესში ზედ ზღვის პირას ერთი ბუჩქი რამ იდგა. წვრილ ღეროებზე ახლოდან უთუოდ შეამჩნევდით პაწაწა უსწორმასწორო ფოთლებს, ოდნავ ნიავზეც რომ თრთოდნენ. ერთხელაც მომეჩვენა, რომ ზოგიერთი ფოთოლი იძვროდა, ზოგიც — არა. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როს შევნიშნე, რომ ფოთლები ერთმანეთში ირეოდა! ერთი ფოთოლი მოვაწყვიტე ბუჩქს და დავკვლიე. თურმე ზედ მწერი რამ იჯდა, რომელიც შესახედავად არცრით არ განსხვავდებოდა ფოთლისგან, თუ არა პაწაწკინტელა, თითქმის შეუმჩნეველი თათები. ამ აღმოჩენამ გამაოცა. მომეჩვენა, რომ ბუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საიდუმლო ამოვხსენი. მიმიკრია დამეხმარა იმ პარანოიალურ გამოსახულებათა კრისტალიზაციაში, რომელი გამოსახულებანიც ჩემი ამჟამინდელი სურათების უმრავლესობაზე მოლანდებებსავით რომ დავანებულიყვნენ.

წარმატებისგან ფრთაშესხმულმა გარშემომყოფთა მიმართ მისტიფიკაციას მივმართე, ყველას გასაგონად გამოვაცხადე, მაგიური ნიჭის წყალობით ყოველივე არაცოცხალს ვაცოცხლებ-მეთქი. სინამდვილეში კი ვიღებდი ფოთოლს და იმ ფოთლის ქვეშ მწერს ვმალავდი. მერმე ქვას, რომელიც ჯადოსნური ჯოხის მაგივრობას მიწევდა, ძლიერად ვურტყამდი ტაბლას, რათა გამეცოცხლებინა ფოთოლი. ყველანი ფიქრობდნენ, რომ ფოთოლი დარტყმისგან იძრა. მაშინ ბევრად უფრო სუსტად ვარტყამდი ტაბლას ქვას და ამის მერმე იმ ქვას ვაგდებდი. ვინც კი ამ ამბავს უყურებდა, თვალებს არ უჯერებდა განცვიფრებული: ფოთოლი ძვრას განაგრძობდა. ეს ჩემი ცდა რამდენჯერმე გავიმეორე, მეტადრე მეთევზეთა წინაშე. ისინი კარგად იცნობდნენ ამ მცენარეს, მაგრამ არცვის არცროდის არცრა მწერი არ შეემჩნია.

* * *

22 წლისა ვარ და მადრიდის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ვსწავლობ. უმაღლესი მხატვრული პრემიის მოსაპოვებლად მოწყობილი გამოფენის წინ სანაძლეო დავდე, რომ საკონკურსო სურათს შევქმნიდი, ეს მაშინ, როცა არცროდის ფუნჯით ტილოს არ შევხებოდი. პირობა ასეთი იყო: მოცემულ სიუჟეტს ვწერ ერთი მეტრის დაშორებით, საღებავები, რომელთაც ტილოს ვაშხეფებ, პუანტილისტთა უცნაური ფერწერის მსგავს რასმე ქმნიან. სურათი და კოლორიტი ისერიგად ზუსტი და მარჯია, რომ პირველ პრემიას ვიღებ.

* * *

23 წლისა ვარ. ფიგარესში მშობლების სახლში ვცხოვრობ და საღებავებით დიდ კუბისტურ ტილოს ვწერ ჩემს სახელოსნოში. რატომღაც საშინაო ხალათის ქამარი დამეკარგა და ეს მოძრაობას მიფერხებს. დროდადრო ელექტრულ სადენს ქამარსავით ვირტყამ წელზე, სადენის ბოლოში პატარა ნათურაა. ვითომ აბზინდაა-მეთქი, ნათურას არ ვხსნი სადენს. ცოტა ხანში ჩემი და მატყობინებს, სალონში სტუმრები გელოდებიანო, არ დამიბარებია, ისე მოსულიყვნენ. ცუდ გუნებაზე მყოფი ვწყდები ჩემს სამუშაოს და სალონში გავდივარ. მშობლები ამრეზით ავლებენ თვალს საღებავებით გათხუპნულ ჩემს ხალათს, ოღონდ თეძოზე ჩამოკონწიალებულ ნათურას ვერ ამჩნევენ. სტუმრებთან ურთიერთმიმშვიდობების შემდეგ ვჯდები და ნათურა სავარძელზე ჩემი უკანალის დაწოლით ბომბის აფეთქების ხმით სკდება...

* * *

29 წლისა ვარ, კადაკესში ზაფხულია. მე გალას ვეარშიყები. მეგობრებთან ერთად ზღვისპირას ვსადილობთ, ვაზის ფანჩატურქვეშ, ფუტკრების ზუზუნით გაყრუებულნი. მე ბედნიერების მწვერვალზე ვარ, ამასთანავე უკვე გულით დამაქვს სიყვარულის შეთვალული სიმძიმე, ის ისე მიჭერს ყელში, როგორც ოქროს ერთობილი რვაფეხა, ფერად თვალებსავით მომთენთავად რომ ციალ-კიალებს. ოთხ შემწვარ ლანგუსტსა ვჭამ, ადგილობრივ სუსტ ღვინომოსხმულს, სწორედ ამაშია ხმელთაშუა ზღვის ნატიფი მუღამი.

სადილი ვახშმად გვექცა. მზე ჩავიდა. ფეხშიშველი ვარ. ერთმა ნაცნობმა ქალმა, რომელიც მუდამ აღტაცებულია ჩემით, უკვე რამდენჯერმე გადმომკრა სიტყვა ჩემს ლამაზ ფეხებზე. ეს ჭეშმარიტად სწორია ლა პალისში, მაგრამ მაინც სისულელედ მიმაჩნია ამ ქალის მომაბეზრებელი ერთი და იგივე ქათინაურები. იგი მიწაზე ზის, იმისი თავი ოდნავ ეხება ჩემს მუხლს. უეცრად ხელს ფეხზე მადებს, ცხადად ვგრძნობ ქალის მთრთოლვარე თითების ალერსს. ეგრევე წამოვვარდი საკუთარი თავის მიმართ ეჭვებით შეპყრობილი, თითქოს უცებ თვით გალა გავხდი. ხელი ვკარი ჩემს თაყვანისმცემელს, მიწაზე დაცემულს რაც ძალი და ღონე მქონდა თელვა დავუწყე. ძლივს ამაგლიჯეს გასისხლიანებული.

* * *

33 წლისა ვარ. ეს-ეს არის ტელეფონით მელაპარაკა ბრწყინვალე ახალგაზრდა ფსიქიატრი. „მინოტავრში“ ჩემი სტატია წაუკითხავს — „პარანოიდური მოღვაწეობის შინაგანი მექანიზმები“. მილოცავს და გაკვირვებულია ჩემი მეცნიერული ცოდნის სიზუსტით, რაც აგრერიგად იშვიათია ჩვენს დროში. ახალგაზრდა ფსიქიატრს ჩემი ნახვა სურს, რათა ყოველივე პირისპირ განვსაჯოთ. მოვილაპარაკეთ, რომ საღამოს ჩემს სახელოსნოში შევხვდებოდით გოგეს ქუჩაზე პარიზში.

სტუმრის მოლოდინში მეხსიერებით განვაგრძობ ჩემს დაწყებულ სამუშაოს — ვიკონტესა ნოაიეს რვალზე მუშაობა განსაკუთრებულად ძნელია, ფირფიტაზე საკუთარ ნახატს უნდა ხედავდე სარკისებრ გაპრიალებულს. შევამჩნიე, რომ დეტალებს უფრო ადვილად ვარჩევდი ათინათის ანარეკლზე. ამიტომ მუშაობისას ცხვირის წვერზე სამსანტიმეტრიანი თეთრი ქაღალდის ნაგლეჯი მივიწებე. ამ ქაღალდის სითეთრემ თუ, უფრო სწორად, სიქათქათემ, ნახატის მკაფიოდ დანახვა შემაძლებინა.

ზუსტად 6 საათზე კარზე დააკაკუნეს, რვალის ფირფიტა გვერდზე გადავდე და კარი გავაღე, სტუმარი ჟაკ ლაკანი იყო, და დაუყოვნებლივ დავიწყეთ ფრიად სერიოზული, საგულო საუბარი...

იმის წასვლის შემდეგ ბოლთის ცემა დავიწყე სახელოსნოში, ვცდილობდი ჩვენი საუბრის განზოგადებას, ვცდილობდი, რომ უფრო ობიექტურად შემეწამებინა თუ შემეჯერებინა ერთმანეთის ის რამდენიმე მცირედი სხვაობა, რაც ჩვენ შორის გამომჟღავნდა. მაგრამ ამაზე ნაკლებად როდი დამაგულისყურა, უფრო სწორად, როდი შემაშფოთა იმ ამბავმა, თუ რატომ მათვალიერებდა აგრერიგად გულდასმით ახალგაზრდა ფსიქიატრი, თუ რატომ დასთამაშებდა სახეზე უცნაური ღიმილი და ძლივს რატომ იკავებდა გაკვირვებას. ნეტავი მორფოლოგიურად ხომ არ სწავლობდა ჩემს ფიზიონომიას, ჩემი ამაღელვებელი იდეებით გაცოცხლებულს? ამ გამოცანის პასუხი მხოლოდ მაშინ მივიღე, ხელების დასაბანად როცა გავედი... ამჯერად პასუხი სარკისგან მივიღე, მთელი ორი საათი ტრანსცენდენტურ პრობლემებზე თურმე ისე ვმსჯელობდით მე და ის სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა ფსიქიატრი, რომ ცხვირის წვერიდან თეთრი ქაღალდის კვადრატის მოცილება დამვიწყებოდა!

* * *

ბოლოს მოგითხრობთ ლონდონში ფროიდთან შეხვედრის ამბავს. შტეფან ცვაიგთან და პოეტ ედვარდ ჯეიმსთან ერთად ვარ. იმ სახლის ეზო რომ გადავკვეთეთ, რომელ სახლშიც მოხუცი პროფესორი ცხოვრობდა. კედელზე მიყუდებული ველოსიპედი დავინახე. ველოსიპედს წითელი რეზინის სათბურა ეკიდა, ზედ ლოკოკინა დახოხავდა! ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ცოტას ვლაპარაკობდით, ოღონდ თვალებით ვჭამდით ერთმანეთს, ფროიდმა არცრა იცოდა ჩემზე, მხოლოდ ფერწერით მიცნობდა, რომლითაც აღტაცებული იყო. ფროიდს „ინტელექტუალური“ დენდის ნაირსახეობად ვეჩვენებოდი. გვიან შევიტყვე, რომ შეხვედრისას მასზე სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილება მომეხდინა. წამოსვლისას იმ ჟურნალის დატოვება მინდოდა, სადაც პარანოიაზე ჩემი წერილი იყო დაბეჭდილი. ჟურნალი იმ გვერდზე გადავშალე და ვთხოვე ჩემი გამოკვლევის წაკითხვა, თუ რასაკვირველია, დროს გამონახავდა, ფროიდი ყურადღებით განაგრძობდა ჩემს თვალიერებას და არცრა ყურადღებას არ აქცევდა იმას, რასაც ვუჩვენებდი. მე გულმოდგინედ ვუხსნიდი, რომ ეს სიურრეალისტის ახირება არ იყო და ნამდვილი მეცნიერულობის პრეტენზია ჰქონდა. რამდენჯერმე გავუმეორე წერილის სათაური და თითიც გავუსვი წერილს. ის მშვიდად და გულგრილად მიყურებდა, რის გამოც მე უფრო და უფრო ვიმაღლებდი ხმას, ჯიუტად ვიმეორებდი ჩემს სათქმელს. მაშინ ფროიდმა, რომელიც ჩემს შესწავლას განაგრძობდა და ცდილობდა ჩემს ფსიქოლოგიურ არსში ჩაწვდომას, შტეფან ცვაიგისკენ პირშებრუნებულმა შესძახა: „ჩემს სიცოცხლეში მსგავსი ვინმე არ მინახავს, ნამდვილი ესპანელია! პირწავარდნილი ფანატიკოსი!“

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

(გაგრძელება იძნება)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196-205

მოსკოვი „უკრაინაში რუსი მართლმადიდებლების დასაცავად“ და „კონსტანტინეპოლის დასაბრუნებლად“ ემზადება

(მეშვიდე გვერდიდან) **მოსკოვში უნდა ჩატარდეს სრულიად მართლმადიდებელთა საგანგებო კრება, რომელზეც ბართლომესა და მისი სინოდის ჩამოცილების საკითხი განიხილება“,** – დაწერა დეკანოზმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პირად გვერდზე.

თბილისი დუმილს ინარჩუნებს

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც კონსტანტინეპოლსა და მოსკოვს შორის დაპირისპირებაში არაოფიციალურად რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ბანაკში მოიაზრებოდა, ამ რთულ ვითარებაში აჩქარებას დალოდება ამჯობინა და საკუთარი პოზიციის გამოხატვას შეძლებისდაგვარად აჭიანურებს.

„იქნება მსჯელობა და ოფიციალური კომენტარი მოგვიანებით გაკეთდება“, – განუცხადა „აქცენტს“თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხის ირგვლივ კონსტანტინეპოლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ქართული ეკლესიის პოზიციის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ.

„აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის“ ვნებანი

ოკუპირებულ აფხაზეთში კონსტანტინეპოლზე დიდ იმედებს ამყარებენ.

რუსეთის ეკლესიასთან აფილირებულ „აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან“ დაპირისპირებული ე.წ. „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქოში გარკვეული კონტაქტები გააჩნია, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების გადაწყვეტილებას მოუთმენლად ელოდა. „წმინდა მიტროპოლიაში“ თვლიან, რომ უკრაინის ეკლესიის პრეცედენტის საფუძველზე სამომავლოდ ავტოკეფალია შესაძლოა, აფხაზურსაც მიენიჭოს.

თუმცა რეალურად, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მხარდაჭერასა და აფხაზეთის ეპარქიის სტატუსს შორის კავშირი არ არსებობს. შესაბამისად, თქმა იმისა, თითქოს ქართული ეკლესიის მხრიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მხარდაჭერა საქართველოს აფხაზეთის ეკლესიას საბოლოოდ დააკარგვინებს, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

„ადრე თუ გვიან, ყველა დამოუკიდებელი მართლმადიდებელი სახელმწიფო საეკლესიო დამოუკიდებლობასაც მიიღებს“

თეოლოგი ლევან აბაშიძე თვლის, რომ მთელს ამ საეკლესიო კონფლიქტში გამოსჭვივის მოსკოვის საპატრიარქოს არსურვილი, უკრაინის ეკლესიის საკითხი გადაჭრილიყო:

„მეც და ბევრი სხვაც ვთვლით, რომ უმჯობესი იქნებოდა, უკრაინული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებაში (რაც გარდაუვალია – ადრე თუ გვიან,ყველა დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ქვეყანა საეკლესიო დამოუკიდებლობასაც მიიღებს) მოსკოვის საპატრიარქოსაც პირადად მიეღო მონაწილეობა. ახლა კი ყველაფერი კონფრონტაციის გზით მიდის“.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ავთანდილ ჩალაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავთანდილ ჩალაძე (პ/ნ 62001025149), თბილისი, დიღმის მასივი, მე-6 კვ., №14/30.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №11, სართული 3, ბინა 19 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.144.01.02.019https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 46562.26 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 16 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 30 ოქტომბერი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP55916218;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 559162
6. **მოვალე:** ავთანდილ ჩალაძე (პ/ნ 62001025149), თბილისი, დიღმის მასივი, მე-6 კვ., №14/30.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP55916218; ლოტის ნომერი: 559162).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 ოქტომბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მამუკა ნიკურაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მამუკა ნიკურაძე (პ/ნ 37001011340), სამტრედია, თბილისის ქ. №16.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, სანაპირო მალთაყვა №8, სართული 4, ბინა №31 (საკადასტრო კოდი: 04.02.12.612.02.031https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15588.56 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 16 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 30 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP55909518;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 559095
6. **მოვალე:** მამუკა ნიკურაძე (პ/ნ 37001011340), სამტრედია, თბილისის ქ. №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP55909518; ლოტის ნომერი: 559095).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 ოქტომბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნოდარ ხელაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნოდარ ხელაძე (პ/ნ 17001015312), ვანი, სოფელი ამაღლება; თბილისი, იასამანის ქ. №6, სადარბაზო 2, სართული 9, ბინა №97.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, იასამანის ქ. №6, სადარბაზო 2, სართული 9, ბინა №97 (საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.224.01.01.097https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 55195.81 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 16 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 30 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP55909618;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 559096
6. **მოვალე:** ნოდარ ხელაძე (პ/ნ 17001015312), ვანი, სოფელი ამაღლება; თბილისი, იასამანის ქ. №6, სადარბაზო 2, სართული 9, ბინა №97.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP55909618; ლოტის ნომერი: 559096).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 ოქტომბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ სამგო

20 მედალი და გუნდური მეორე ადგილები

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დამთავრდა ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ევროპის, აზიის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის 31 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მასპინძლებმა 20 მედალი დაიმსახურეს, მათ შორის – ახალგაზრდებში: 3 ოქროს, 4-4 ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო. ჩემპიონები გახდნენ ხაშურელი გიორგი მეხრიშვილი (48), ლენტეხელი ავთო მუკბანიანი (60) და ქუთაისელი გოჩა ღვაჩლიანი (87) გახდნენ, თელაველი მიხეილ ბახბახაშვილი (75) კი ფინალში დამარცხდა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ასევე, მეორე ადგილებზე გავიდნენ მცხეთელი ნათია კახობერაშვილი (40), საგარეჯოელი ანა უთურგაშვილი (52) და გორელი მარიამ მაზანაშვილი (56), ხოლო ფოთელ ელიზბარ თურქიას (56), ხაშურელ ნოდარ ბუხრიკიძეს (65) და წყნეთელ ერეკლე ოძელაშვილს (70) და ქუთაისელ ინდირა სილაგაძეს (65) ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

ახალგაზრდებმა 9 მედალს მოუყარეს თავი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ზესტაფონელი გაგა ბახტიძე (68) და საგარეჯოელი ზვიად თევდორაშვილი (74), მესამე ადგილები ზესტაფონელმა გოგა ვარდოსანიძემ (52), თელაველმა ოთარ ტალახაშვილმა (57), თბილისელმა საბა გრიგალაშვილმა (62), ახალციხელმა ნიაზ დიასამიძემ (100), ახმეტელმა ელისო სისაურმა (68), მცხეთელმა სალომე მჭედლიშვილმა (64) და ზესტაფონელმა მარიამ ცერცვაძემ (+80) დაიკავეს.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ბიჭები ორივე ასაკში მეორეზე გავიდნენ, ხოლო გოგონებს მესამე ადგილი ხვდათ.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ცალი ფეხით – უკვე პლეი-ოფში

იყო დრო, ანდორასნაირ ჯუჯა მეტოქეებს (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) უპრობლემოდ ვუსწორდებოდით, მაგრამ მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ალვარესის გუნდი თბილისში ორწლიანი წაუგებელი სერიის შემდეგ გვეწვია, მასპინძლებს კი თამაშის წინა დღეს, უკვე მერამდენედ, ახალგამოჯანმრთელებული ოქრიაშვილი კიდევ ერთხელ დაუშავდათ.

ალბათ, ამიტომაც იყო, „ჯვაროსანთა“ თავკაცი ვლადიმირ ვაისი თავის შეგირდთა შანსებს მოკრძალებულად რომ აფასებდა მაშინ, როცა მეტოქის დამრიგებელი ცეცხლზე ნავთს ასხამდა და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებდა. შეხვედრამ დაადასტურა, რომ, თურმე, ბუზისგან სპილოს წარმოვაჩენდით და არც ისე წვიმს, როგორც ქუხს. საილუსტრაციოდ ერთადერთ ფაქტს მოვიყვანთ: ჩვენებურებმა 12(!) უპასუხო კუთხური ჩააწოდეს.

მოკლედ, უეფას ეროვნებათა ლიგის პირველი წრის ფინიშზე ზედიზედ მესამე გამარჯვება მოვიპოვეთ – 3:0 **(გოლები:** ყაზაიშვილი – 2, კანკავა) და ცალი ფეხით უკვე პლეიოფში შევაჯიბეთ.

ლატვია – ყაზახეთი 1:1.

საქართველო – 9, ყაზახეთი, ლატვია, ანდორა – 2- 2ქულა.

დღეს ითამაშებენ: ლატვია – საქართველო, ყაზახეთი – ანდორა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჯერ კიდევ დროა

პოზიცია ნათლადაა გამოკვეთილი...

ნოემბრის თვეში მოსკოვში შედგება სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (AIBA)კონგრესი, რომელზეც ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება. 2017 წელს ასოციაციაში მომხდარი ფინანსური სკანდალის შემდეგ ეს არჩევნები სპორტული სამყაროს მხრიდან დიდ ყურადღებას იპყრობს. ეს მით უფრო, რომ პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებს AIBA-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გაფურ რახიმოვი, რომლის კანდიდატურის წინააღმდეგ გამოდის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC).

იქნება თუ არა კრივი წარმოდგენილი ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადაზე?

გაფურ რახიმოვი

სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის საფინანსო პრობლემები საკმარისი წინაპირობა გამოდგა საიმისოდ, რომ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს მრავალი წლის მანძილზე, ჩინგ-კუო ვუს, უნდობლობის ვოტუმი გამოსცხადებოდა. როგორც გაირკვა, ვუ სამი წლის მანძილზე ორგანიზაციის აღმასკომს უმალავდა დავალიანების მასშტაბებს, ამ პერიოდში რომ წარმოიშვა იმის მიმართ.

ბევრისათვის მოულოდნელი გამოდგა კიდევ ერთი გადადგომა, ამჯერად ნებაყოფლობითი, ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ვიცე-პრეზიდენტ ფრანკო ფალჩინელის მიერ ამ თანამდებობის დატოვება. მისი ადგილი დაიკავა მეორე ვიცე-პრეზიდენტმა, ზემოთ ნახსენებმა უზბეკმა გაფურ რახიმოვმა. მას უწინასწარმეტყველებენ კიდეც AIBA-ის უმაღლეს თანამდებობას და, როგორც ჩანს, მას საკმაოდ კარგი შანსები აქვს საიმისოდ, რომ მოსკოვის ნოემბრის კონგრესზე მოიგოს არჩევნები.

ამასთან, 2018 წლის მანძილზე მსოფლიო მასმედიაში გამოჩნდა საინტერესო მასალები, რომლებშიც გამოთქმულია ეჭვები ვიცე-პრეზიდენტ ფრანკო ფალჩინელის გადადგომის მოტივებთან დაკავშირებით.

მაგალითად, რა მოხდა, რა მიზეზი არსებობს საიმისოდ, რომ არჩევნებამდე ფალჩინელის კანდიდატურას მხარს უჭერდა აღმასრულებელი კომიტეტის 17 წევრიდან 15 წევრი, მაგრამ მათ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მკვეთრად შეიცვალეს აზრი? ფრანკო ფალჩინელიმ არა მხოლოდ ნებაყოფლობით მოხსნა თავისი კანდიდატურა არჩევნებიდან, არამედ AIBA-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პოსტიც დატოვა.

ზოგიერთებმა ეს გარემოება დააკავშირეს გაფურ რახიმოვის პირველ პლანზე გადმონაცვლებასთან, მაგრამ რახიმოვის კანდიდატურამ მყისიერად გამოიწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეშფოთება.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელთ არსებული მონაცემებით გაფურ რახიმოვი მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზებულ დანაშაულთან და კრიმინალური დაჯგუფების, „საძმო წრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია, რომელიც აერთიანებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების კრიმინალურ ავტორიტეტებს.

ასე, ჯერ კიდევ 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადის მსვლელობის დროს, ავსტრალიის მთავრობამ გ. რახიმოვს უარი უთხრა შესასვლელ ვიზაზე ფორმულირებით, რომ „რახიმოვი ეჭვმიტანილია სოლნცევოს დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობაში, საერთაშორისო ნარკოკარტელებთან თანამონაწილეობასა და კრიმინალური ფულის გათეთრებაში“. ამასთან, აშშ-ის ფედერალური გამოძიებების ბიურო ასევე განიხილავდა გ. რახიმოვს ეჭვმიტანილად საერთაშორისო ნარკოვაჭრობაში.

ოდნავ უფრო გვიან იგივე ინფორმაცია გამოჩნდა აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე, სადაც გ. რახიმოვი პირდაპირ დასახელდა დამნაშავედ და უზბეკური დანაშაულებრივი დაჯგუფების ხელმძღვანელად, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობას ეწეოდა.

მის სამშობლოში, უზბეკეთში, 2013 წელს რახიმოვს წარუდგინეს ბრალდებები გამოძალვასა და ფულადი თანხების გათეთრებაში. მოგვიანებით მისი სახელი ფიგურირებდა ინტერპოლის მიერ ძებნილ პირთა სიაში, როგორც უზბეკეთის ერთ-ერთი მთავარი კრიმინალისა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მთელი ამ დროის მანძილზე გაფურ რახიმოვი იკავებდა მაღალ თანამდებობებს უზბეკეთის ოლიმპიურ კომიტეტსა და კრივის ფედერაციაში. ასე, 1999 წლიდან იგი აზიის ოლიმპიური საბჭოს ცენტრალური აზიის ზონის თავმჯდომარეა, 2006 წლიდან – AIBA-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი და კრივის აზიური ფედერაციის პრეზიდენტი. 2010 წელს იმავე AIBA-ის კონგრესზე რახიმოვი 95 ხმით არჩეულ იქნა კრივის აზიური კონფედერაციის პრეზიდენტად, ხოლო ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტის მოვლეობის შემსრულებლად მუშაობა ვერც აშშ-ის ფედერალური გამოძიების იურიდიულმა პრეტენზიებმა, ვერც აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ, ვერც ინტერპოლმა, ვერც OFAC-ის საფინანსო დაზვერვამ და ვერც უზბეკეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ დააბრკოლა.

ამჟამად გაფურ რახიმოვის სახელი სანქციურ სიაშია შესული და მას ეკრძალება ნებისმიერი საფინანსო ოპერაციების შესრულება ამერიკული დოლარების მეშვეობით.

რახიმოვის დანიშვნა და მისი კანდიდატურის შემდგომი ლობირება სამოყვარულო კრივის ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე სპორტის ექსპერტებში ძლიერ გაღიზიანებას იწვევს იმის გათვალისწინებით, რომ AIBA-ის წესდების 35.2 პუნქტის თანახმად, კანდიდატს სუფთა რეპუტაცია უნდა ჰქონდეს.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე ნათლად გამოკვეთა პოზიცია, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირებზე არსებული ეჭვების გამო AIBA-ის პრეზიდენტის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებლის პიროვნება და, მით უმეტეს, მისი არჩევა, კატეგორიულად მიუღებელია. მეტიც, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მზად არის, მიიღოს რადიკალური გადაწყვეტილება და კრივი ამოიღოს ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადის სპორტის სახეობებიდან, ასევე განაგრძოს გამოძიება AIBA-ის მმართველობის სისტემის მიმართ და სრულად შეწყვიტოს ამ ორგანიზაციის შემოწირულობებით დაფინანსება.

როგორც ჩანს, კრივის სამოყვარულო ფედერაციის პრეზიდენტად რახიმოვის ოფიციალურად არჩევის შემთხვევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაბლოკავს ასოციაციის საქმიანობას. მაშინ, დიდი ალბათობით, სამოყვარულო კრივი გამოეთიშება სპორტის ოლიმპიური სახეობების სიას.

კრივი მიეკუთვნება სპორტის იმ უძველეს და იშვიათ სახეობებს, რომლებიც ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა და დღესაც მთელ პლანეტაზე პოპულარობით სარგებლობს. ამიტომ კრივის ამოღება ოლიმპიური დისციპლინების რიცხვიდან AIBA-ის სახელს უზარმაზარ ზიანს მიაყენებს, ასევე გულს დაწყვეტს მილიონობით გულშემატკივარს მსოფლიოს მასშტაბით.

გიგი კანდელაკი

სანთელი

ღირსეული მამულიშვილი ოთარ კვაჭაძე

გარდაიცვალა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის წევრი, თადარიგის პოლკოვნიკი **ოთარ დავითის ძე კვაჭაძე.**

დაიბადა 1929 წლის 28 დეკემბერს ქალაქ ბათუმში. 1951 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო აკადემია, 1968 წელს — მოსკოვის საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი. 1951-1958 წლებში მსახურობდა ჩრდილოეთის ფლოტის სამხედრო-საზღვაო, სადესანტო-სადაზვერვო დანაყოფებში ხელმძღვანელ ოპერატიულ თანამდებობებზე დაზვერვის ხაზით — ახალ მიწაზე, კუნძულ კილდინზე, მურმანსკში, სევერამორსკში, პეჩეგანში, პოლიარნში და სხვა ქალაქებში.

1958-1988 წლებში, პენსიაზე გასვლამდე, მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც განვლო გზა რიგითი ოპერრწმუნებულიდან სამინისტროს ოპერატიული დაზვერვის სამმართველოს უფროსამდე.

1988-1991 წლებში სამოქალაქო სამსახურშია, თბილისის სასტუმროების სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

როგორც გამოცდილი პროფესიონალი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველივე დღეებში კვლავ მიწვეულია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც სათავეში ჩაუდგა და ხელმძღვანელობდა სამინისტროს აკადემიის სამხედრო კათედრას, ხოლო შემდგომ აკადემიის ოპერატიული დაზვერვის ფაკულტეტს. 1998 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ახალგაზრდობაში სპორტშიც არ ჩამორჩებოდა. გახლდათ ბათუმის „დინამოსა“ და ლენინგრადის ოფიცერთა სახლის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი. მინიჭებული ჰქონდა „სპორტის ოსტატის“ წოდება ფეხბურთსა და ტყვიით სროლაში.

ბატონი ოთარ კვაჭაძე თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა სამეცნიერო, პედაგოგიურ, ლიტერატურულ და ჟურნალისტიკურ მოღვაწეობას. იყო საკავშირო სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ კორესპონდენტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანთა გაზეთის „თაობიდან თაობამდე“ კონსულტანტი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს გაზეთის „სრულიად არასაიდუმლოდ“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. გახლდათ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანადამფუძნებელი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.

ბატონი ოთარი ავტორია მრავალი სამეცნიერო, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებისა: „ლენინგრადული ციკლი“, „ექსტრავაგანტული კურიოზები“, „სალდაფონური და მილიციურ-პოლიციური ცხოვრებიდან“, „ბართლომეადა, ანუ ვაი მეცნიერთა დოღი“, „ტუფტა ზარები“, „ტერორომანია“, „ჩვეულებრივი კაცის არაჩვეულებრივი სიზმარი“, „ტერორისტული ანეკდოტების კრებული“, „საერთაშორისო დონის თაღლითური მოღვაწეობა“. ასევე გახლდათ ლექსების, ბალადებისა და პოემების სამი კრებულის ავტორი, რომლებსაც მხატვრულადაც თავად აფორმებდა.

ბატონი ოთარ კვაჭაძე თავისი მოღვაწეობით ყველა თაობის საუკეთესო მაგალითია. მან თავისი ენერგია, განათლება, ინტელექტი და შემოქმედებითი ნიჭი კანონიერების განმტკიცებასა და სამართლიანობას მოახმარა. გამოჩენილი და თავდადებული მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი, მათ შორის, „ღირსების ორდენით“.

ვალმოხდილი წავიდა ქვეყნის, ოჯახისა და ხალხის წინაშე უკეთილშობილესი ადამიანი, ცხოვრების ქარცეცხლგამოვლილი, სამაგალითო მეოჯახე, განსაკუთრებულად მზრუნველი მეუღლე, მამა, ბაბუა და გულისხმიერი მეგობარი.

ოთარ კვაჭაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის ახლობლებსა და მეგობრებს შორის.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი.

მეგობრის ხსოვნას

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სამხედრო ძალების დამსახურებული ვეტერანი, ღირსების ორდენი კავალერი, თადარიგის პოლკოვნიკი

ოთარ კვაჭაძე

დაიბადა 1929 წელს ქ. ბათუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1951 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1958 წლამდე მსახურობდა ჩრდილოეთ ფლოტის სამხედრო საზღვაო-სადესანტო ნაწილში დაზვერვის სამსახურის უფროსად, რის შემდეგ 1958-1998 წლამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ ამავე სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს უფროსად მუშაობდა. 1968 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

მან გარკვეული წლები იმუშავა შსს-ს აკადემიაში ოპერატიული დაზვერვის ფაკულტეტის უფროსად, რის შემდეგ გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ბატონი ოთარი იყო მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი. პედაგოგიური მოღვაწეობისას მან მრავალი მოწინავე თაობა აღუზარდა ჩვენს ქვეყანას.

წავიდა ჩვენგან რთულ ცხოვრებისეულ ქარცეცხლში გამოვლილი უკეთილშობილესი ადამიანი, სამაგალითო მეოჯახე, ახლობელთა მოყვარული, გულისხმიერი მეგობარი და სამაგალითო ადამიანი. მის მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზა მისაბაძია მომავალი თაობისათვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

გურამ გვეტაძე, შოთა გორგოძე, კობა ნარჩემაშვილი, ჯემალ გახოკიძე, თემურ მურღულია, ვახტანგ გვარამია, გივი ლომინაძე, ჯუმბერ სურმავა, ჯემალ ჯანაშია, გურამ ახალაია, მალხაზ ბაძაღუა, ალეკო მიქაბერიძე, ტიტე ლეფსაია, ილია შონია, გრიშა შონია, რეზო ნაცარიშვილი, ლევან კენჭაძე, თორნიკე აფაძიძე, ელგუჯა ჯამბურია.

ხსოვნა

მწერლობის მოამაგე ლამარა კიკილაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთი ღირსეული თანამოკალმე მოისაკლისა.

გარდაიცვალა ქართული მწერლობის მოამაგე და ჟურნალისტი **ლამარა ირაკლის ასული კიკილაშვილი.**

მისი სახით ქართულმა სამწერლო ოჯახმა დაკარგა მწერლობაზე, თეატრზე, კინოზე, სახვით ხელოვნებაზე გადაგებული მოამაგე და მცველი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ქართული სულიერების ჯადოსნურ თვალწარმტაც სამყაროს უანგარო, მუხლჩაუხრელ სამსახურს შეალია და თავად იქცა იმ სამყაროს ნაწილად, სამყაროსი, სადაც მის თვალწინ იქმნებოდა ის შედევრები, რომლებიც ქართველი ერის სიამაყისა და სიხარულის საგანს რომ წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს.

ლამარა კიკილაშვილის ცხოვრება, მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა ერთი მშვენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო მშობელი ერის წმიდათაწმიდა იდეალებს მთელი გულით, მთელი არსებით და, ამავე დროს, მუდამ ჩრდილში დგომას ლამობდე, იყო ჩუმი და უპრეტენზიო მსახური შენი მოწოდებისა...

ლამარა კიკილაშვილი დაიბადა 1930 წლის 2 ნოემბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1950 წელს, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1955 წელს დაასრულა.

მას შემდეგ ლამარა კიკილაშვილმა ათწლეულები გაატარა საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში ჯერ რადიოს უკანასკნელ ცნობათა და ლიტერატურულ-დრამატულ რედაქციებში, შემდეგ ტელევიზიის ლიტერატურულ-დრამატულ რედაქციაში. ბოლოს კი შემოქმედებითი გაერთიანება „სხივის“ ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციის რედაქტორი იყო. სწორედ ამ დიდი ეროვნული ინსტიტუტის კედლებში ჰქონდა ბედნიერება დიდ მწერლებთან, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ურთიერთობისა. ამიტომაც მის მიერ მომზადებულ გადაცემებს შემორჩა ისეთი კორიფეების ხმის ჩანაწერები, როგორებიც იყვნენ: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, რეზო ინანიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, აკაკი ბაქრაძე, თამაზ ჩხენკელი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, ეროსი მანჯგალაძე... სწორედ ამ დიდებული ერისკაცების ხმები ამშვენებს საქართველოს რადიოს ოქროს ფონდს, როგორც შეხსენება მომავალი თაობებისათვის, თუ რა ბრწყინვალე წინაპრების მხრებზე დგას მათი თაობა.

ლამარა კიკილაშვილის საავტორო გადაცემებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „სახსოვარი“, რომელიც ქართული მწერლობისა და ხელოვნების ფართო სპექტრს მოიცავდა. ეს გადაცემა ფაქტობრივად XX საუკუნის სულიერი ცხოვრების მატიანეს წარმოადგენდა...

ქალბატონი ლამარა გემოვნებიანი მთარგმნელი იყო და მისი თარგმანებით გაეცნო მკითხველი ვინსენტ ვან გოგის „წერილებს“, ანრი პერიუშის „პოლ გოგენს“, „ტულუზ-ლოტრეკს“, „მანეს“, „მონეს“, არკადი ფიდლერის „ამაზონის ძახილსა“ და „კანდის ტყეთა სურნელებას“.

ლამარა კიკილაშვილის მრავალწლიანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიით, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის უმაღლესი ჯილდოთი — „ოქროს ფრთით“. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ლამარა კიკილაშვილი — მწერალი, ჟურნალისტი, ღირსეული შთამომავალი დიდი ქართველი ბანოვანებისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის, ბატონი

ნოდარ ჭეიშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ყოფილი დირექტორის მოადგილე, სწავლული მდივანი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თინა ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 16, 17 X, 16 სთ. გამოსვენება 18 X, 14 საათზე.

მისამართი: დიდი დიღომი, მე-3 მიკრორაიონი, 29-ე კორპ. IV სად. III სართ. ბინა 51.

ავიაკომპანია „TAROM“ საქართველოში

31 ოქტომბრიდან კვირაში 2 სიხშირით ბუქარესტი-თბილისი-ბუქარესტის მიმართულებით ფრენებს რუმინული სახელმწიფო ავიაკომპანია „TAROM“ განახორციელებს. ამის შესახებ სასტუმრო „მერკურში“ გამართულ პრეზენტაციაზე საქართველოში რუმინეთის ელჩმა, ავიაკომპანია TAROM-ის ხელმძღვანელობამ, საავიაციო ხელისუფლებისა და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს. რუმინული სახელმწიფო ავიაკომპანია „ტარომი“ 1954 წელს დაარსდა, 2010 წლიდან ის Sky Team ალიანსის წევრია.

მანუჩარ მაჩაიძემ მხედველობა დაიბრუნა



ხეების შრიალი, ქუჩის ხმაური, ღამის პეიზაჟი, მზე და ვარსკვლავები — მარტივია, აღიქვა სამყარო, როდესაც ყველაფერს ხედავ... მაგრამ თუ ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვლება, იგრძნობ, რომ თვალებში გიბინდდება, ხედვა გიძნელდება, ფოკუსი გერევა და ხვდები, როგორ წყდები რეალობას. ეს განცდა ყველასთვის ნაცნობი ვერ იქნება. მხედველობა ჰაერივითაა, ჰაერივით, რომელიც საარსებოდ გჭირდება. პრობლემა კი მარტივად და მოულოდნელად ჩნდება. მისგან დაზღვეული არ აღმოჩნდა არც თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე, რომელიც მხედველობის დაკარგვას გადაურჩა. ექიმების გუნდისთვის მადლობას არ იშურებს და ემოციით დატვირთული ჰყვება, თუ რას ნიშნავს ხელახლა დაბადება.

მანუჩარ მაჩაიძე, თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი: **„ბოლო პერიოდში თვალების მხრივ პრობლემები მქონდა. მხედველობა მიჭირდა, რასაც ძალიან განვიცდიდი. წარმოიდგინეთ, მოულოდნელად ჩემ გარშემო ყველაფერი გაბუნდოვანდა. კონსულტაციისთვის რეგიონული ჰოსპიტლის ოფთალმოლოგიურ ცენტრს მივმართე. მარცხენა თვალში კატარაქტა აღმომაჩნდა. მიხეილ ომიაძის კონსულტაციით, ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე, თუმცა მანამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მკურნალობა მომიხდა. ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოპერაციიდან გამოსულს მხედველობა 100%-ით აღმიდგებოდა. ეს უდიდესი რამ არის როგორც ჩემთვის, ასევე მორიგი დიდი წარმატებაა მიხეილ ომიაძისა და რეგიონული ჰოსპიტლის მთელი ოფთალმოლოგიური ცენტრისთვის. არ შემიძლია არ აღვნიშნო ექიმების გუნდის პროფესიონალიზმი და გულისხმიერება. თითოეული მათგანი სითბოთი და ყურადღებით მომიდგა. მათი მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ“.**

პაციენტის კმაყოფილებით ბედნიერია მისი მკურნალი ექიმიც. მიხეილ ომიაძე ჰყვება, რომ ასეთივე მხიარული განწყობით გადის რეგიონული ჰოსპიტლიდან მისი პაციენტების აბსოლუტური უმრავლესობა, რაც ოფთალმოლოგების გუნდისთვის დამატებითი მოტივაციაა. დაუბრუნო მხედველობა მას, ვინც სამყაროს ასე კარგად იცნობს, მარტივი საქმე როდია.

„საშიში დედა“ ნომინანტების სიაშია

ცნობილი გახდა იმ 6 ფილმის შესახებ, რომლებიც საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრის ჯილდოსთვის (EUROPEAN DISCOVERY 2018 Prix F6PRESCI) იბრძოლებენ.

ნომინანტებს შორის მოხვდა ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი ანა ურუშაძე ფილმისთვის „საშიში დედა“. ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. მისი მსოფლიო პრემიერა ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, რის შემდეგაც არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა.

შარშან „საშიში დედა“ საქართველოს კანდიდატი ფილმი იყო ოსკარზე. რამდენიმე დღის წინ ევროპულმა კინოაკადემიამ მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის შერჩეული 15 ფილმი გამოავლინა. ნომინანტებს შორის მოხვდა რატი წითელაძე ფილმით „სოციუმის პატიმარი“, რომელიც ასევე არაერთი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე და პრიზიორია. დაჯილდოების ცერემონია 15 დეკემბერს ესპანეთში გაიმართება.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

ვექეგ სამუშაოს. მაქვს სამუშაოს ძვნის 5-წლიანი გამოცდილება.

* * *

ახალგაზრდა ქირურგ-პრაქტიკანტს უკიდურესად ესაჭიროება პაციენტი.

* * *

საიდუმლო საბუთების გადასაგეჭდად გვესაჭიროება მგეჭდავი ქალი, რომელმაც კითხვა არ იცის.

* * *

გრიტანელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სპილოები უფრო ეფექტურად სრესენ ქათმებს, ვიდრე მამლები.

* * *

ზოგი ადამიანი სმას გადაყოლილია, ზოგიც — მუცელს.

* * *

არსად იმდენ სიბრძნეს ვერ პოულობ, რამდენსაც საკუთარ თავთან საუბარში.

* * *

სიგრალული სიყვარულის ზუსტი მიგაძვაა.

* * *

ქალის სიყვარული მამაკაცის ტრაგიკული მოვალეობაა.

* * *

ცხოვრება რომ საგულისყურო იყოს, კარტს აღარავინ არ ითამაშებდა.

* * *

ადამიანები გადაზედმეტებულ სიტყვებში იხლართებიან.

* * *

დუმილი ოქროა, მაგრამ თითქმის ყველა ოქროზე ლაპარაკობს.

* * *

სამართლიანობა ის არის, რაც შენ არა გაქვს, სხვასაც რომ არა აქვს.

* * *

უფერულობის ღირსება ის არის, რომ მუდამ გაფერადებას ითხოვს.

* * *

ადამიანი მაიმუნისგან შრომამ კი არა, ჩარლზ დარვინმა შექმნა.

* * *

ძალიან ნუ მიისწრაფი წარმატებისკენ, ის ხშირად ცოფიანია!

ვისაც უნდა დაეცვა, იმან მოკლა

ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა წითელი ნუსხით დაცული არჩვი მოკლეს



ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა წითელი ნუსხით დაცული არჩვი მოკლეს, — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს. არჩვის მოკვლის შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 30 000 ლარს შეადგენს.

„პანკისის ხეობაში, ხადორჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გადამოწმების მიზნით, გააჩერეს მოქალაქეები, რომლებსაც აღმოაჩნდათ რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, „ჩეზეს“ მარკის 3 ცალი შაშხანა, სავარაუდოდ საბრძოლო ვაზნებით და ასევე მოკლული და დანაწევრებული მამალი არჩვი.

შემდგომი გადამოწმებით დადგინდა, რომ მოქალაქეები ბ.ქ., ა.ბ. და ვ.ნ. ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები იყვნენ. ფაქტის გამოვლენის შემდგომ, მათ დაკავებული თანამდებობები, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს. არჩვი საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობაა და მისი მოკვლის შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 30 000 ლარს შეადგენს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

დამნაშავე ყალბ დოლარებს ასაღებდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის შენახვა-გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებულია 61 700 აშშ დოლარის ოდენობის 617 ერთეული ყალბი ასდოლარიანი კუპიურა.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული.
ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6376; ევრო - 3.0546;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4872;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4473;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5561;
1000 სომხური დრამი - 5.4289.

ამინდი 16 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge